№ 57
პარასკევი, 22 აპრილი

1877—1905

№ 57
პარასკევი, 22 აპრილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანეთი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія".

ცალკე ნომერი 3 კაპ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედ. საზ.-ბის სახლში.

ტელეფონი № 922.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია".

1905 წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა"**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

გაზეთის ფასი: 1 აპრილიდან წლის დამლევამდის 7 მან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვინც პრემიის უკვე დარიგებულ პირველ წიგნს მოისურვებს, 50 კაპ. უნდა გამოგზავნოს მის ფასად.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედიტო საზოგადოების სახლში (მესამე სართულში).

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція газ. „Иверія".

ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი

სთხოვს ამავე მაზრის თავად-აზნაურთ, 27 აპრილს, შუადღის 12 საათზე, მობრძანდნენ დეპუტატთა საკრებულოს სადგომში (სოლოლაკის ქუჩა № 10) **კერძო თათბირზე** მათივე ეკონომიურ კითხვების შესახებ მოსალაპარაკებლად.

(1—6—1)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჟუჟუნაძე. კბილის—8—9 საათ.

გ. გ. მაღალაშვილი. შინაგანი. ოთხშაბ. 9—10 საათამდე და კვირაობით 9—11 საათ.

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა 9½—10½ ს.

ნ. ტ. მუღინი.—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.

ვ. დ. დამბაშიძე.—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგ. და ბავშვ. 12—1 ს.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი და ნერვებისა 12—1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

კ. ნ. დიასამიძე. — ვენერიული და კანისა 12½—1½ საათ.

ს ს. ალექსი-მესხიშვილი.—ხირურგია 1—2.

საღამოს:

ს. ი. ვაჩაძე.—შინაგ. 6—7 საათამდე.

ოპერაციების გაკეთება შეუძლიათ გარეშე ექიმ-ხირურგებსაც.

ფასი რჩევის და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ორი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით, კრავატები დღეში ღირს 2-დან სამ მანათამდე. საზოგადო და ნომერი—5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი), სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

ტელეფონი № 274.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. ქ ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. ბძოლიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ექიმი ქალი **ა. ი. ზჩარბინინა**—1½—2 საათ.—ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

საღამოობით:

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულ გამოკვლევას, 5—7 საათ.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს (მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი კ. **ბძოლიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. №) 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდის.

კბილის ექიმი **ნ. ტყეშელაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლღას ქუჩა, № 31.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი № 13.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათისა.

ვაჭაძე სფირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 საათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლი № 157.

კითხვა—პასუხი

I

კითხვა.

ხელოსანი გახლავართ, ბატონო რედაქტორო, სწავლა თითქმის არა მაქვს (სახელოსნო სასწავლებელი გავათავე), მაგრამ ბევრი რამ წამიკითხავს, ბევრი რამ გამიგონია და ჩემს ამხანაგებთან ერთად მეც მინდა შეგნებული მონაწილეობა მივიღო აწინდელს ჩვენი ცხოვრების სვლასა და ცვლაში. ჩემდა საუბედუროდ, რაც წამიკითხავს და გამიგონია, მეტად ერთმხრივი ყოფილა, ეტყობა, რომ იმავე თავითვე აღძრულ რამოდენიმე კითხვის ახსნა და განმარტება ვერც წიგნებში ვპოვე, ვერც ნაცნობებში და ვერც ჩვენს პრესაში. პრესსას მიზეზისა გამო სხვისადასხვისა აქამდე არც შეეძლო ამ მხრივ ჩვენი დაკმაყოფილება; დღეს კი ნება აქვს, მგონი, და თქვენ მოგმართავთ, რაც ვერა და ვერ აუხსნიათ ჩემს ნაცნობებს.

უპირველეს ყოვლისა, რად არიან ჩვენნი ნაცნობები საქართველოს თვითმართველობის წინააღმდეგნი? თუ კი ჩვენს ადგილობრივ საქმეებზე ჩვენ კი არა, იგივე პეტერბურგი, ან მოსკოვი განაგებს, რით-და განირჩევა ამათი მომავალი სუვორინთა და ვოსტორგოვთა აწმყოსგან? რად არიან წინააღმდეგნი ჩვენი ისტორიისა, ენისა... ერთობ ეროვნებისა და სამშობლოსი? ნუ თუ ვინც მუშა-კაცის თავისუფლებას ემსახურება, ხელი უნდა აიღოს ქართველობაზე, პოლონელობაზე, სომხობაზე და უთუოდ გარუსდეს? მრწამს, ბატონო, რომ შორეულ მომავალში იმდენად შეერთდებიან ყველა ერნი, რომ ერთი ენით ილაპარაკებენ, მაგრამ ნუ თუ უკვე დამტკიცებულია, რომ ეს ენა, შეერთებულ კაცობრიობის ენა, უთუოდ რუსული იქნება? და თუ ეს უკვე დამტკიცებულია, რაღად გადგნენ ცალკე თავის ეროვნების დასაცავად ჩვენი თანამოაზრე პოლონელნი, ლიტველნი, სომეხნი და სამშობლო მიწა-წყალს მოკლებულნიც ებრაელნიც კი? ვინ უარჰყოფს თავის დედას, თუ არ სახელგატეხილი შვილი? მაგრამ ნუ თუ ისეთი საზიზღარი, საძრახისი იყო საქართველოს წარსული, რომ იძულებულნი ვართ ჩვენი ვინაობა დავმალოთ და უარვყოთ ჩვენი ეროვნება?

სხვადასხვა ერნი უნდა შეერთდნენ, რომ ერთა შორის შური და ქიშპობა მოისპოსო... და რაც მალე დავივიწყებთ ჩვენ, ქართველნი, ჩვენს ენას და ეროვნებას, მით უფრო დიდებულს მონაწილეობას მივიღებთ კაცობრიობის წინსვლაში და წარმატებაშიო, გვეუბნებიან. ვერ გამიგია: ნუ თუ კაცობრიობის წინსვლა და წარმატება დღეს ჩვენს გარუსებას მოითხოვს, ხვალ გაფრანგებას, ზეგ გაჩინელებას? ხომ შეიძლება ერთხელ როდისმე ჩინელებმა აჯობონ ევროპას თავის კულტურით. ეგეც რომ არ იყოს, განა არ შეიძლება, ქართველი ვიყო, სასახელოდ მიმაჩნდეს ქართველობა, საყოველთაო კეთილდღეობის საქმეს ვემსახურებოდე და, თუ საერთო ენის მიღებაზე მივარდა, დედა-ენის მაგივრად მომავალში ის ენა შევითვისო, რომელიც კულტურულ ენათა შთამომავალი იქნება, და არა რომელიმე აწინდელი ენა?

იმისთანა ლექსით გველაპარაკებიან ხშირად, რომ ვერ გაგვირჩევია: ჩვენი უვიცობისა გამო არ გვესმის, თუ მტკნარი უაზრობაა. ჩვენ მომავლის შვილნი ვართ, მომავლის შემქნელნიო... სამშობლო კი წარსულია, უსამართლობაზე და მონობაზე დამყარებული და ამიტომ ჩვენ უარვყოფთ წარსულს, ესე იგი სამშობლოსაო! უსამართლობა და მონობა ხომ ყველა ერის ხვედრს შეადგენდა; მაშ რატომ სხვანი კი არ უარობენ თავიანთ წარსულს? ან იქნება განვითარებით ჩვენ, ქართველებმა, გავასწარით ყველა სხვა სახელოვან და კულტურულ ერებს და ჩვენ მივუძღვით წინ კაცობრიობას?

ხმა ამოიღეთ, ბატონო, ვგრძნობთ, რომ მართალნი ვართ, მაგრამ რა ვქნათ, რომ ღირსეული პასუხით ვერ მოგვიჭრია სიტყვა. თქვენ მაინც დაგვეხმარეთ.

ხელოსანი

II

პასუხი.

საჭიროდ მიგვაჩნია მოკლე პასუხი გავცეთ ზემოდ დაბეჭდილ წერილის ავტორს, თუმცა იმ საგანზე, რომელსაც იგი ღნიშნავს, ჩვენ არა ერთხელ გამოგვითქვამს ჩვენი აზრი. არის ზოგიერთი ისეთი საგანი, რომელზედაც დროგამოშვებით ერთი და იგივე აზრის განმეორებაა საჭირო და ამიტომ სასურველიც არის.

ჩვენ არ გვჯერა, რომ ჩვენში იყვნენ ისეთი ცოტად თუ ბევრად შეგნებული ხელოსნები, რომელნიც დედა-ენას უარყოფდნენ და გარუსებასა და გადაგვარებას ეტრფიალებოდნენ. იქნება, თითო-ოროლა იყოს სადმე ასეთი გზა-დაბნეული, მაგრამ განკერძოებული მაგალითი მთელს საზოგადოებრივ ჯგუფს ვერ დაახასიათებს. ხოლო თუ ავტორს ესრედ წოდებული „მესამე დასელთა" პრესსა აქვს სახეში და ამ პრესსას ბრალად სდებს დედა-ენის უარყოფას და გარუსების ქადაგებას,—უნდა ვთქვათ, რომ ეს ბრალდება, ჩვენის აზრით, სინამდვილეს არ შეესაბამება და სიმართლეს არ ხატავს, ვინაიდან იმ პრესსაში ენის უარყოფა არასდროს არ ყოფილა გამოცხადებული.

სულ სხვაა საკითხი საქართველოს ავტონომიურ თვითმართველობის შესახებ. ამ შემთხვევაში ხსენებული პრესსა აზრს არ ფარავს და იქ მომუშავენი პირდაპირ უარყოფენ საქართველოს ავტონომიას, რა დემოკრატიულ საფუძველზედაც უნდა იყოს დამყარებული ეს ავტონომია. იმათ იდეალად აქვთ დასახული სრულიად რუსეთის ცენტრალური კანონმდებლობა და ამ ცენტრალიზმის გარეშე არ მიაჩნიათ შესაძლებლად მუშა-ხალხის სოციალ-პოლიტიკური განვითარება და ცხოვრებაში მშრომელთა ინტერესების სავსებით გატარება.

ეს შეხედულება ჩვენ შეცდომად და ქართველ მშრომელ ხალხის ინტერესებისათვის მავნებლად მიგვაჩნია. ჩვენის აზრით, მშრომელი ხალხი უფრო ადვილად დაიცავს თავის ინტერესებს და განახორციელებს საკაცობრიო მაღალ იდეალს, როცა მას წინ ნაკლები სოციალ-პოლიტიკური დაბრკოლება შეხვდება. ამ მხრით სრულს დემოკრატიულ საფუძველზე აგებული ავტონომიური თვითმართველობა საქართველოსი საუკეთესო ნიადაგი და ღონისძიებაა მშრომელი კლასის გასამარჯვებლად.

ამ აზრს უფრო დაწვრილებით ხვალ გავარკვევთ ცალკე წერილში.

* * *

გაფიცვის თავისუფლება

რუსეთი განახლების გზაზეა დამდგარი. ყოველ მხრიდან მოდის სახელმწიფო წეს-წყობილების ძირითად გამოცვლის მოთხოვნა და აგერ თანამედროვე ცხოვრების წყვდიადში გაისმის შორიდან ხალხისაგან არჩეულ წარმომადგენელთა ძლიერი ხმა, რომელმაც უნდა განკურნოს საზოგადო ცხოვრების იარა და მოსპოს ბიუროკრატია. მაგრამ ამ დიად დროსაც ბიუროკრატია მაინც არ იშლის თავისას და არ შორდება იმ გზას, რომლის უვარგისობა ყველამ აღიარა ამჟამად რუსეთში. პირიქითაც,—ბიუროკრატია თითქო მეტსაც მუშაობს, კანცელარიებში გაცხარებული მიწერ-მოწერაა გამართული...

ათასნაირ კომისიებს, კომიტეტებს, სათათბირო კრებებს იწვევენ, ახროვებენ სხდომების ოქმებს, აუარებელი მოხსენება, ანგარიში და სხვადასხვა ქაღალდი ბიუროკრატიის კანცელარიებში გროვდება.

რისთვის?

საზოგადოება ყურს უგდებს, უცდის...

იცდის და ძალაუნებურად უტყდება გული აწმყოზე, ძალაუნებურად იხედება შორს, სადაც გამოჩნდა სინათლე, საიდანაც მოდის უკეთეს მომავლის იმედი...

რას არ ეპოტინება ამჟამად ბიუროკრატია? მუშათა გაფიცვის საქმესაც არ სტოვებს უყურადღებოდ.

გაფიცვის თავისუფლება, ყოველნაირ სხვა უფლებებთან ერთად თანამედროვე განმათავისუფლებელ მოძრაობის დროშაზე აშკარად წარწერილია.

გაფიცვის თავისუფლებაზე ახლა ლაპარაკობენ ბიუროკრატების კაბინეტებში, ამავე სიტყვებს იმეორებენ ადმინისტრატიულ დაწესებულებათა კანცელარიებში. ამაზე, გაფიცვის თავისუფლებაზე, ლაპარაკობდნენ მინისტრთა კომიტეტში და შიდლოვსკის აწ განსვენებულ კომისიაში, ამავე საქმეს მოჰკიდა ხელი ახლა კოკოვცევის კომისიამაც...

გაფიცვის თავისუფლება! ჩაუკვირდით მუშათა თანამედროვე მოძრაობის ხასიათს და გაიგებთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს მუშებისთვის ამ თავისუფლებას.

გადაათვალიერეთ არსებული კანონმდებლობა და დაინახავთ აშკარად, თუ რას ნიშნავს გაფიცვის თავისუფლება.

არსებულ კანონების ძალით, გაფიცვაში მონაწილეობის მიღებისათვის მუშა ისჯება, ისჯება ციხეში დაპატიმრებით. 8 თვე, ხშირად ერთი წელიწადი და 4 თვე უნდა გაატაროს ციხეში იმიტომ, რომ ჯამაგირის მომატება ითხოვა პატრონისაგან.

იგივე ციხე, იგივე სატუსაღო გაფიცვაში მონაწილეობის მიღებისათვის ახალ სისხლის სამართლის კანონების ძალითაც შემოღებული.

იგივე ციხე, იგივე სატუსაღო მოელის მუშას იმ შემთხვევაშიაც, თუ მიიღო მონაწილეობა ისეთ საზოგადოებაში, რომელსაც, სხვათა შორის მიზნად დასახული აქვს გაფიცვის მოხდენა...

ევროპის სახელმწიფოებში შემოღებულია გაფიცვის თავისუფლება, მხოლოდ რუსეთი ჩამორჩა ევროპას. საჭიროა ნაბიჯის გადადგმა და გაფიცვის თავისუფლების შემოღება რუსეთში.

გაფიცვის თავისუფლება ისევე, როგორც შეკრების და შეკავშირების თავისუფლება, როგორც სიტყვის, პრესსის და სვინიდისის თავისულება,—ადამიანის ძირითადი უფლება არის, და არ შეიძლება საპოლიტიკო თავისუფლების დამყარება, ადამიანს ყველა ეს ძირითადი უფლება თუ არ ექმნა სავსებით მინიჭებული; გაფიცვის თავისუფლება საჭირო არის იქაც, სადაც ჯერ არ არსებობს საპოლიტიკო თავისუფლება.

ევროპაში მომხდარ გაფიცვათა ისტორიას თუ დავაკვირდით, დავინახავთ, რომ გაფიცვა არ არის ადვილი,—გაფიცვა თვით მუშებს უჯდებათ ძვირად. ზერინგის გამოანგარიშებით, ამერიკაში 1881—94 წ.წ. ყველა გაფიცვა დაუჯდა მუშებს 250 მილიონი მანათი; გერმანიაში, ოლდენბურგის გამოანგარიშებით, 1890—7 წ.წ. ამავე საქმეზე მუშებს დაეხარჯათ ორ მილიონ ნახევარი მანათი. და ამ ხარჯებთან ერთად გაფიცვას მუშების გამარჯვება არ მოჰყოლია ყოველთვის.

მაგრამ მაინც უნდა აღიაროს უთუოდ ყველამ, რომ გაფიცვა დიადი და ძლიერი იარაღია მუშა-ხალხის გასანთავისუფლებლად მონობისაგან. გაფიცვას მოჰყვება მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესება.

გაფიცვას დიდი ზნეობრივი მნიშვნელობაც ჰქონია ყოველთვის,—გაფიცვა მუშა ხალხში მომავლის იმედს აღვიძებს, მის ძალას ამტკიცებს, ამხნევებს და ყოველდღიურ ბრძოლისთვის აიზადებს ყველას.

ამასთანავე გაფიცვა საზარელია თვით კაპიტალისტებისათვის და ხშირად გაფიცვის უბრალო ხსენებაც საკმარისია იმისთვის, რომ კაპიტალისტი მუშათა მოთხოვნილების შესრულებას დასთანხმდეს.

გაფიცვაში იმარჯვებენ მუშები, უმეტეს ნაწილად, იმიტომ რომ ამ გაფიცვას ხელს უწყობენ ქონებრივად და ზნეობრივადაც მუშათა ორგანიზაციები, და იმიტომ რომ გაფიცულებს ფულს უგზავნიან დასახმარებლად დედამიწის სხვადასხვა კუთხიდან.

ამნაირი ურთიერთის დახმარება შეიძლება მხოლოდ იქ, სადაც განმტკიცებულია საპოლიტიკო თავისუფლება, სადაც საზოგადოების თვითმოქმედება არსებობს ხალხში.

ამიტომ ცხადია, რომ ბიუროკრატიულად მოწყობილ სახელმწიფოში შეიძლება გაფიცვის თავისუფლების გამოცხადება, მაგრამ შეუძლებელია ეს თავისუფლება თვალთმაქცობად არ გადაიქცეს, ცარიელ სიტყვად, ყოველსავე მნიშვნელობას მოკლებულად...

ხალხისაგან ერთხელვე გამოსახული იდეა არ ისპობა,—ფესვს იკიდებს, იზრდება და უთუოდ მიზანსაც აღწევს...

მ. ბ. რატნერი.

* * *

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

21 აპრილი.

ლონდონი, 21 აპრილი. ქვემო პალატაში ჩემბერლენმა განაცხადა, ახლად შემოტანილი კანონპროექტი არა სასურველ უცხოელების შესახებ სავსებით ეთანხმება ჩემ პოლიტიკას საბაჟო რეფორმის შესახებ, აქ მავნე პირებს უნდა აუკრძალონ ინგლისში შემოსვლა,—მე კი მინდა უცხოეთიდან ყველა საქონლის შემოტანა შეიქმნეს აკრძალულიო. ამ მოსაზრებას არა აქვსთ საერთო საპოლიტიკო თავშესაფარის საქმესთან. გენერალმა ბოტამ, როგორც ბურების მეთაურმა, გამოსცა ტრანსვაალში მანიფესტი, რომლითაც სასტიკად ჰკიცხავს კონსტიტუციას. მომავალ საკანონმდებლო კრებას მხოლოდ სადაქალაქო საზოგადოებას აძახის.

მინსკი, 21 აპრილი. ხოლერასთან საბრძოლველად ადგილობრივმა სასანიტარო კომისიამ გააკრა ქუჩებში განცხადებები,—მხოლოდ ადმინისტრაციის იმედით ნუ იქნებით ამ საქმეშიო. ადგილობრივი მაზრის მარშალი ახმატოვი, რომელსაც ჰბრალდებოდა საპეკუნო ფულის 50,000 მანეთის გაფლანგვა,—სადღაც გადაკარგულა.

მინსკი, 21 აპრილი. რაკი ქალაქის საბჭომ განაცხადა უარი სავალდებულო დადგენილების გამოცემაზე საღამოობით დუქნების დაკეტვის შესახებ,—მოვაჭრეებმა ერთმანეთში მორიგებით გადასწყვიტეს, დუქნები 9 საათზე დაჰკეტონ ხოლმე.

ათინა, 21 აპრილი. პრინცმა გეორგმა რამოდენიმეჯერ სთხოვა ევროპის სახელმწიფოებს თანხმობა კრიტის შეერთებაზე საბერძნეთთან,—ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ ვიკისრებო პასუხის-მგებლობას.

ვენა, 21 აპრილი. სამხრეთ ტიროლში განზრახული ადლუმი, რომელსაც იტალიელთა შემოსევის მოგერება უნდა ჰქონოდა, აღარ მოხდება იტალიისადმი პატივისცემის ნიშნად.

პეტერბურგი, 20 აპრილი. 23 აპრილს საღამოს 11 საათზე გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი თავის მამულში მიდის, სადაც რამოდენიმე დღეს დაჰყოფს. ტფილისში ჩავა 5 მაისს, დილით 1 საათზე. გზაში მიიღებს დეპუტაციებს სადგ. ტიხორეცკაიასა, პროხლადნაიასა, ბესლანსა, გროზნას, პეტროვსკსა, დერბენდსა, ბალაჯარასა და განჯაში.

ყაზანი, 20 აპრილი. ჟურნალ „დეიატელ"-ის რედაქციას ნება დაერთო, გამოსცეს ყოველ-დღიური გაზეთი „რუსეთი მართლ-მადიდებელი და თვითმპყრობელი" („Русь Православная и Самодержавная").

ლოძი. პოლიციამ დემონსტრანტები გაფანტა. დღეს ქარხნები მუშაობას შეუდგნენ. ტრამვაის მიმოსვლა სწარმოებს. მაღაზიები გაღებულია. გაზეთებში გამოქვეყნებული ცნობა, ვითომ მატილდოვიჩის სიკვდილის შემდეგ, რომელსაც ჟუმბარა ესროლეს, დანარჩენი ყველა ბოქაულები სამსახურიდან გამოსულიყვნენ და პოლიცმეისტერი ექვსი კვირით საზღვარგარედ წასულიყოს, სიმართლეს მოკლებულია. პოლიცმეისტერი ხრჟანოვსკი დასასვენებლად დათხოვნილი არ არის, ამჟამად ლოძში იმყოფება და თავის თანამდებობას ასრულებს. მე 4 ნაწილის ბოქაულმა სამსახურს თავი დაანება ავადმყოფობისა და მოხუცებულობის გამო. 1-ლი ნაწილის ბოქაული დასასვენებლად არის დათხოვნილი, დანარჩენნი კი თავის თანამდებობას ასრულებენ.

ვენა. საქსონის ხელმწიფე ავგუსტი მოვიდა.

ვენეცია, 20 აპრილი. გუშინ, შუადღის შემდეგ, გერმანიის იმპერატორი მეუღლითურთ მოვიდა.

ნიცცა. წითელის ჯვრის ფრანგ ქალთა კავშირმა და რუსის წითელი ჯვრის განყოფილებამ ნიცცაში გამართეს დღესასწაული. შემოსავალი დიდია.

რიგა. თუმცა უწესოებას მოელოდნენ, აღდგომამ მაინც მშვიდობიანად ჩაიარა. ქარხნების მუშათა გაფიცვა თითქმის შესწყდა, რადგან დღეს რეზინის მანუფაქტურის ქარხანა „პროვოდნიკ"-ში მუშაობას შეუდგნენ.

იაკუტსკი. საბჭომ მოისმინა გენერალ-გუბერნატორის დეპეშა ირკუტსკის გუბერნიაში საერობო დაწესებულებათა შემოღების შესახებ და დაადგინა, გენერალ-გუბერნატორის შუამდგომლობით ხელმწიფის ფერხთა წინაშე თავისი აღტაცების გრძნობანი განართხოს და იმედი გამოსთქვას, რომ ეს მოწყალება იაკუტსკის ოლქზედაც გავრცელდება.

ხარკოვი, 20 აპრილი. დიდი დაიწყო. დღესასწაულების ოთხმა დღემ მშვიდობიანად ჩაიარა. ბაღები სავსე იყო მოსეირნე ხალხით.

სტამბოლი, 20 აპრილი. რაკი სამსო მიწერ-მოწერა დასრულდა, აქაური ელჩები ამ დღეებშივე შეგროვდებიან მაკედონიის ფინანსთა საკონტროლო ზომების გამოსარკვევად. ვუნტერის კამპანი 18 აპრილს მის სახლთან რამოდენიმე ტყვიით მოუკლავთ, როდესაც სააღდგომო ვიზიტით მიდიოდა სერბიის მიტროპოლიტის წარმომადგენელთან და ქრისტიანთა უბანში იყო. ამ საქმეზე ოთხი საეჭვო ქრისტიანე დააპატიმრეს. ზოგიერთი ამბობს მკვლელობის მიზეზი პირადი შურისძიება იყოო. სახელმწიფოების კონსულებს განუცხადებიათ კრეტელებისთვის, ძალას ვიხმართ, საბერძნეთის დროშას თუ არ ჩამოუშვებთო.

ხმა დადის ხონთქარმა მთავარი ფერდინანდი სტამბოლში უნდა მოიწვიოსო.

მოსკოვი, 20 აპრილი. „რუსულ უწყებაში“ დაბეჭდილია, რომ 19 აპრილს, საღამოს 10 საათზე, ტვერის ბულვარზე, ხამოვნიკის ლუდხანის რესტორანთან, არბატის ნაწილის უბნის ზედამხედველი ალექსეევი მისულა იქ შეკრებილ ხალხთან და მოუთხოვნია, რომ ყველა დაშლილიყო დაუყოვნებლივ,—ერთს იქ მყოფს კიდეც ჰკრა ხელით. იმანაც სამაგიეროდ სილა გაარტყა უბნის ზედამხედველს,—დანარჩენებიც ემუქრებოდნენ. ალექსეევმა ამოიღო ხმალი და თავს იგერებდა, შემდეგ რესტორანში შევარდა და იქიდან უკანა კარებით ბოქაულის თანაშემწემ და რესტორანის პატრონმა გაიყვანეს მეორე ქუჩაში. ხალხმა აავსო ბულვარი, გაანადგურა რესტორანი. ისროდა ქვებს, აგურს, რევოლვერის სროლაც გაისმა. ჩამტვრეულია ფანჯრები, დალეწილია კარები. რესტორანში მყოფი ხალხი უპალტოოდ და უქუდოდ გაიქცა. გამოიწვიეს ცხენოსან ჟანდარმთა რაზმი. ხალხი მალე დაიშალა.

მოსკოვი, 20 აპრილი. უბნის ზედამხედველმა ალექსეევმა, რომელსაც გუშინ ტვერის ბულვარზე თავს დაეცა ხალხი, დღეს თავი მოიკლა. გენერალ-გუბერნატორი კოზლოვი თანამდებობის შესრულებას შეუდგება 21 აპრილს. სახაზინო პალატის წინ ჩაინგრა ქვა-ფენილი, ოთხ არშინის სიღრმეზე. ხაზინის სიახლოვისა გამო მთავრობამ ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია.

პეტერბურგი, 20 აპრილი. სიმართლეს მოკლებულია ცნობა, ვითომც მთავრობა აპირებდეს არყის მონოპოლია გადასცეს სავაჭრო ამხანაგობებს და ხალხის სიფხიზლის საზოგადოებებსაც.

ვარშავა, 20 აპრილი. გუშინ, ნაშუადღევს, ხოლოდნაიას და ჟელეზნაიას ქუჩების კუთხეში შეგროვილ შვიდ კაცს მოსთხოვა დაშლა პოლიციელმა. ერთი იქ მყოფთაგანი დანით ხელში მივარდა პოლიციელს, რომელმაც ისროლა და დასჭრა იგი, შემდეგ წაართვა დანა და დააპატიმრა.

ლონდონი, 20 აპრილი. ქვედა პალატამ, მეორედ წაკითხვის შემდეგ, 221 ხმის უმეტესობით 59 ხმის წინააღმდეგ, მიიღო ემიგრანტების შესახები ბილლი. კამათის დროს ბალფურმა განაცხადა: ეს საკითხი ძირითადად განსხვავდება ებრაელთა შესახებ საკითხისაგან და უარჰყო ის აზრი, ვითომც ეს ბილლი ვისმეს თავშეფარებას უკრძალავდეს. დეპუტატის ტრევილიანის საპასუხოდ, რომელიც თხოულობდა თავშესაფარი მივცეთ იმ ჯარის კაცებს, რომლებიც სამშობლოდან გამოიქცევიან, ამიტომ რომ ომი უსამართლობად მიაჩნიათ, ბალფურმა სთქვა: შეუძლებელია პალატაში გადაწყვეტილ იქმნეს ის საკითხი, რომელიც ამა თუ იმ გარეშე სახელმწიფოს მიერ დაწყებულ ომის სამართლიანობას შეეხებათ.

იუზოვკა, 19 აპრილი. იუზოვკიდან ვერს-ნახევარზე, ნოვოროსიის საზოგადოების რკინის გზის ხიდის ქვეშ, ყუმბარების გასავალ არხში, იპოვეს მუშის ტანისამოსში ჩაცმული გვამი ახალგაზრდა კაცისა. ეტყობა ძალად მოკლული უნდა იყოს.

სიტიაზა, 20 აპრილი. ჩვენის ლაშქრისა და მეჯადენთან მომხდარ ბრძოლის შესახებ ჩვენი მტრები ათას ჭორებს ავრცელებენ ხარბინში, რითაც ვნებენ ჩვენს საქმეს, და გულუბრყვილოებს გუნებას უხდენენ.

ლონდონი, 20 აპრილი. ლლოიდი იუწყება, რუსის ესკადრამ ინგლისის გემი „პლანტოვენუს“ შეიპყრო.

კიშინევი, 20 აპრილი. სამი დღის უქმე მშვიდობიანად ჩაიარა. 19 აპრილს გერბოვეცკის ღვთისმშობლის ხატი მონასტერში მიასვენეს. ხატს 15,000 კაცი მისდევდა და სამაგალითო წეს-რიგი-კი სუფევდათ.

ლონდონი, 19 აპრილი. (რეიტერი). ქვედა პალატის სხდომაზე ასკვიტი ლაპარაკობდა ემიგრანტების შესახებ ბილლის იმ ნაწილზე, რომელიც ეხება სისხლის კანონებით დასასჯელ დამნაშავეთ და ჰკიცხავდა იმ მუხლს, რომელიც ეხება პოლიტიკურ დამნაშავეთ, რადგანაც ეს მუხლი მრავალ პოლიტიკურ დამნაშავეთ ხელს შეუშლის ინგლისს თავი შეაფარონ. აკერს დუგლასი ამტკიცებდა, ბილლს მხედველობაში აქვს მხოლოდ არა სასურველი უცხოელები და პოლიტიკურ დამნაშავეთა ინტერესებს იცავსო. ორატორმა უარ ჰყო ის მოსაზება, ვითომ მთავრობა ამ ბილლს რომადგენდა, ანტისემიტიურ გრძნობებით ხელმძღვანელობდაო.

პეტერბურგი, 19 აპრილი. ცარსკოე სელოში ხელმწიფემ დაათვალიერა ტყვიის მფრქვეველთა ოთხი ცხენოსანი რაზმი, რომელნიც გვარდიის ცხენოსან ჯარის პოლკებთან იყვნენ და ახლა იგზავნებიან შორეულ აღმოსავლეთში, სადაც ისინი კაზაკთა პოლკებს შეუერთდებიან. მისმა უდიდებულესობამ დალოცა რაზმები და გამოსთქვა თავისი რწმენა, რომ ისინი თავის პოლკებს ახალს დიდებას მოუპოვებენ და სამშობლოში უვნებლად დაბრუნდებიან. ამის შემდეგ ოფიცრები და ჯარის კაცნი სასახლეში წაიყვანეს, სადაც ხელმწიფე—იმპერატრიცასაგან მიიღეს პატარ-პატარა ხატები.

რუსეთ-იაპონიის ომი

დ ე პ ე შ ე ბ ი.

(რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოებისაგან)

27 აპრილი.

პარიზი, 21 აპრილი. აქ უკმაყოფილებას იწვევს იაპონიისაგან განმეორებით განცხადებული პროტესტი რუსულ სამხედრო გემებისთვის დახმარების აღმოჩენის გამო,—მით უფრო რომ ამ საქმეს ლონდონშიაც დიდის ყურადღებით ეკიდებიან და ეს პროტესტი ჩაითვლება თითქმის ინგლის-იაპონიის პროტესტად.

შანხაი, 20 აპრილი. აქ დარწმუნებული არიან, რომ იაპონიის ფლოტის უმთავრესი ნაწილი კორეის სრუტეშია გაჩერებული. სამხრეთისაკენ მხოლოდ მზვერავი გემები არის გაგზავნილი. დიდ ბრძოლას იაპონელები მხოლოდ იაპონიის ან კორეის ნაპირებთან გაბედავენო. „უნივერსალ—გაზეთის“ ცნობით იაპონელებმა ყურადღებაც არ მიაქციეს ჩინელების მოთხოვნას და სინმინტინიდან წასვლაზე უარი განაცხადესო.

ლონდონი, 20 აპრილს, „ლლოიდი“-ს ცნობა ვითომ რუსებს დაეჭიროთ გემი „პლანეტ სენუსი“, სიმართლეს მოკლებულია

პარიზი, 20 აპრილი. იაპონიის საელჩოს მდივანი პარიზში მივა 18 აპრილს გარეშე საქმეთა სამინისტროში და იკითხავს, იცის თუ არა მთავრობამ, რომ რუსის ესკადრა ჯერ კიდევ საფრანგეთის კუთვნილ საზღვრებშია გაჩერებული. სამინისტრომ უპასუხა, ჩვენ ცნობა გვაქვს, რომ რუსის გემები უკვე გავიდნენ საფრანგეთის საზღვრებიდანო.

ტოკიო. ერთ-ერთ სახელმწიფოს დიპლომატიური წარმომადგენელი ირწმუნება, პრეზიდენტი რუზველტი ცდილობს მეომართა ორივე მხარე, რაც შეიძლება, მალე შეარიგოსო. დიპლომატის აზრით, ეს ნაბიჯი ჯერ-ჯერობით უდროვოა. საქმეში ჩარევა არაფერს ნაყოფს არ მოიტანსო.—ბალტიის ესკადრა ჯერ კიდევ კამრანის ნავთ-სადგურთან ვარელას კონცხის ახლომახლო იმყოფება.

ლონდონი. გაზეთ „ვაშინგტონ პოსტ“-ის იაპონელ კორესპონდენტებს საქმის მდგომარეობაზე მსჯელობა აქვთ და ამბობენ, თანდათან ვრწმუნდებით, რომ ნებოგატოვის ესკადრამ 16 აპრილს, ღამე, შეუმჩნევლად სინგაპური გაიარაო. შესაძლებელია, ნებოგატოვი ადმირალ როჟესტვენსკის ვარელას კონცხის ახლოს შეუერთდა. ბრიტანიის მთავრობამ ჩინეთს ისეთივე ნოტა გაუგზავნა, როგორიც შეერთებულმა შტატებმა. ინგლისი უცხადებს, საჭიროა სასტიკი ნეიტრალიტეტი დაიცვათ და რუსის გემებს, რომლებმაც შანხაიში იარაღი აიყარეს, ნება არ მისცეთ, ადგილიდან დაიძრანო. ამას გარდა, რუსებს არ უნდა მისცეთ ნება, ჩინეთის ტერიტორია ბაზად გაიხადონო. დიპლომატიურ წრეებში ჰფიქრობენ, თუ ჩინეთმა ძალას არ მიმართა, რუსის გემები წავლენო. პეკინიდან პასუხი ძალიან მალე მიიღეს. ჩინეთის ელჩმა თავის მთავრობის დეპეშა წარადგინა, რითაც ჩინეთი აცხადებს, ყველანაირ ზომებს მივიღებთ და ნებას არ მივსცემთ რუსის კრეისერებს და კონტრ-ნაღმოსანს შანხაიდან გავიდნენო.

კოპენჰაგენი. „დეილი ტელეგრაფი“-ს კორესპონდენტს უსაუბრია, ერთს მაღალ-ხარისხოვან საზღვაო ოფიცერთან, რომელიც დაახლოვებული იყო რუსისა და იაპონიის საზღვაო მთავრობასთან. იმისი აზრით, ნებოგატოვის მესამე ესკადრა როგორც კი შეუერთდება როჟესტვენსკის, რასაც ამ ახლო მომავალში უნდა მოველოდეთო, რუსები გაემართებიან რიუ კიუს კუნძულებისკენ, რომლებსაც როჟესტვენსკი თავის საზღვაო ბაზად გაიხდისო. ტოკიოსთან დიდი ბრძოლა აქ მოხდება.

ვაშინგტონი. „ვაშინგტონის გაზეთი“-ს ცნობით, ბარონმა ანეკომ, რომელიც იაპონიის არაოფიციალურ წარმომადგენლად ითვლება, სთქვა: შეერთებული შტატები და თვით იაპონია იაპონიის თანამედროვე წარჩინებულ მდგომარეობით ისარგებლებენო. სასურველიაო,—დაუმატა ანეკომ,—შეერთებულ შტატებთან სავაჭრო ხელშეკრულება დავსდოთ, რომ თავიდან აეიცილოთ შეტაკება და უთანხმოება ვაჭრობაშიო. პეკინში გაიგზავნა დეპეშები, რომლებშიაც ჩინეთს ერთხელ კიდევ უცხადებენ, საჭიროა ნეიტრალიტეტი დაიცვათო.

ჰონკონგი, 19 აპრილი (რეიტერი). გამოიღეს რამდენიმე მსწრაფლ-მსროლელი ზარბაზანი ნავთ სადგურში ქვის-მთლელთა დასაცველად. სამხედრო სატრანსპორტო გემი „გარდინგი“, რომელმაც ინდოეთში გადასაყვანად ინდოეთის ორი ადგილობრივი პოლკი წაიყვანა, ისევ უკან გადმოსხა. სამხედრო წრეები თავ-დაჭერით იქცევიან.

(დამის დეპეშები იხ. მე-2 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

მარშალი ოიამა საბრძოლველად ემზადება. ბრძოლის ველზე 6 კვირით სიჩუმე ჩამოვარდა. მაგრამ, როგორც ეტყობა, დადგება თუ არა დარი, ოიამა ხარბინისკენ წამოვა. ამის პირველი ნიშანი ის არის, რომ იაპონიიდან ოიამას საჩქაროდ აუარებელ მაშველ ჯარს უგზავნიან. ამბობენ, იაპონელები იმიტომ ჩქარობენ, რომ ეშინიანთ, ვაი თუ რუსეთის ესკადრამ გაიმარჯვოს და იაპონიის ჯარს გზა მოუჭრას; მაგრამ ეს მართალი არ არის. ოიამას გზა მაინც რჩება და ამ გზას რუსეთის ესკადრა ვერას დააკლებს. ეს არის ფუზან-სეულ-იჯუსი და იჯუ-ლიაოიანის რკინის გზები. ფუზანიდან მოჯამდე, ანუ სასებომდე სულ 100 მილია (8 საათის სავალი გზა). ამ გზის გავლა ღამე შეუმჩნევლადაც ძალიან ადვილია. თუ როჟესტვენსკიმ ფუზანსა და მოზამპოს ალყა შემოარტყა (რაიც შეუძლებელია, რადგან ფუზანიდან ვლადივოსტოკამდის 520 მილია), ოიამას მეორე გზაც დარჩება: ნაგასაკიდან შანტუნის კონცხამდე, ანუ დალნისა და ინკოუმდე, საცა რუსეთის ესკადრა ვერ გაჩნდება. ვლადივოსტოკიდან ამ გზამდის 800 მილია. გარდა ამისა ამ გზას ძლიერ გამაგრებული კუნძული კველპარტი იცავს.

რუსეთის ჯავშნოსნები თავის ბაზას ასეთ დიდ მანძილზე ვერ დაშორდებიან, მარტო კრეისერები კი იაპონიის ძლიერ ფლოტს წააწყდებიან და ცუდი დღეც დაადგებათ. მომავალ საზღვაო ბრძოლაში რუსეთის ესკადრამაც რომ გაიმარჯვოს, სულ ერთია, იმის იმედი მაინც არავის უნდა ჰქონდეს, ვითომ როჟესტვენსკი მარშალ ოიამას გზას მოუჭრის, უსურსათოდ, უჯარიოდ დასტოვებს და ამით იაპონიის ჯარს გაანადგურებს. იაპონელებმა მანჯურიაში იმდენი სურსათი გადაიტანეს და იმდენი ჯარი გადაიყვანეს, რომ რუსეთის ესკადრა ვერას გახდება: როჟესტვენსკიმ ბევრი, ბევრი თვეში 2—3 დღით მოუჭრას გზა, დანარჩენ 27—28 დღეს გზა ისევ გახსნილი იქნება. შარშან იესენის ესკადრა ტოკიოსთან გაჩნდა, ერთ დღეს 3 იაპონური გემი ჩასძირა,—მაგრამ მით ხმელეთზე ვერაფერი ცვლილება მოახდინა. პირიქით, იმ დღეებში იაპონელებმა სამგან გაიმარჯვეს: ნოგიმ 14—17 ივლისს იუპილაზა და მგლის გორები აიღო, ამავე დღეს მარშალმა ნოძუმ გენ. ზასულიჩი დაამარცხა (სიმუჩენთან). არც კუროკი ჩამორჩა ამათ და სამ დღის ბრძოლაში (17—19 ივლ.) გენ. კელერისა და გერშელმანის ჯარები დაამარცხა. ამრიგად თეორიული მოსაზრებანი და შარშანდელი მაგალითებიც ცხადად ამტკიცებენ, რომ მარშალმა ოიამამ მანჯურიაში საბოლოოდ მოიკიდა ფეხი და იმის გაგდება შეუძლებელია.

იაპონელთა მზადებიდან სჩანს, რომ ოიამას უნდა რუსებს უკანასკნელად და საბოლოოდ შეებრძოლოს. სწორედ რომ საკვირველია ეს მზადება. მუკდენის ბრძოლაში იაპონელებს სამოცი ათასი კაცი დააკლდათ, მაგრამ მარტის დამლევს იაპონელებმა დანაკლისი შეავსეს და თავიანთი ჯარის რიცხვი ისევ 450 ათას კაცამდე აიყვანეს. მაგრამ ესეც არ კმარა: მეორე დღესვე მაშველმა ჯარმა წყალივით დაიწყო დენა. ფრიად საყურადღებო და მნიშვნელოვანი ცნობა მოვიდა ტოკიოდან: იაპონელებმა შეადგინეს მეექვსე ლაშქარი გენ. ხასეგავას უფროსობით (კორეაში მყოფ ჯარების უფროსია) და მეშვიდე, რომლის უფროსი ჯერ არ იციან (ამბობენ, გენ. ნიში იქნებაო). ეს ორი ლაშქარი 52 პოლკისგან, ესე იგი 13 დივიზიისგან უნდა შესდგეს. ეს პოლკები მიკადოს ბრძანებით შარშან სექტემბერში შეაგროვეს და დაამზადეს. ამ ორ ლაშქარში დაახლოვებით 160 ათასი კაცი მაინც იქნება. ეს ჯარიც რომ მანჯურიაში გადავა, მარშალ ოიამას ეყოლება 610 ათასი კაცი. თუ ამას ზურგის ჯარსაც მივუმატებთ, გამოვა, რომ ახლო მომავალში მარშალ ოიამას 700 ათასზე მეტი მებრძოლი ეყოლება. ბრძოლის ველზე ამოდენა ჯარის თავის მოყრა იმას ამტკიცებს, რომ იაპონიის მთავარსარდალი ბრძოლის ველის გაფართოვებას აპირობს. მარშალ ოიამას მარტო ლინევიჩის ჯართან რომ უნდოდეს შებრძოლება, ის ჯარი, რომელიც ეხლა ხელთა ჰყავს, სრულიად საკმარისია. ამიტომ ცხადია, რომ მარშალი ოიამა ხარბინის გარდა ვლადივოსტოკსაც დაებღაუჭება. ამჟამად ზღვაზე საქმე ისეა დაყენებული, რომ იაპონელებმა ვლადივოსტოკს რაც შეიძლება მალე უნდა შემოარტყან ალყა და ადმ. როჟესტვენსკის შორეულ აღმოსავლეთში უკანასკნელი თავშესაფარი წაართვან. ამიტომ საფიქრებელია, გენ. ხასეგავას არმია, რომლის სამი დივიზია უკვე გადავიდა გენზანში, მალე ჩრდილოეთისაკენ დაიძვრება, მდინარე ტუმენს გავა და ვლადივოსტოკს მიადგება. მარტის დამლევს გენ. ხასეგავას არმიის მოწინავე ჯარი ავიდა კილჯუში, რომელიც ტუმენიდან 200 ვერსით არის დაშორებული. ამ ჯარის მზვერავი რაზმები კი კილჯუოდან 20 ვერსით ზევით ამოვიდნენ და ადგილებს ზვერავდნენ. მაგრამ არც რუსები სხედან გულხელ დაკრეფილნი. გენ. ანდრეევი 80,000 კაციაი ვლადივოსტოკიდან დაიძრა და მდინარე ტუმენისკენ გაემართა. ეს იმას ნიშნავს, რომ რუსებს ამ მდინარის დაცვა და იაპონელთა შეჩერება უნდათ. ამრიგად ცოტათი მაინც ირკვევა იაპონიის მთავარ-შტაბის გეგმა ამ წლის ომისა. ზაფხულის დამდეგს გენ. ხასეგავა 100 ათასი კაცით ტუმენს უნდა გავიდეს და ვლადივოსტოკს ალყა შემოარტყას. ამავე დროს მარშალ ოიამას ხუთი არმია (500 ათასი კაცი) გენ. ლინევიჩის ჯარს უნდა მიესიოს. იმ დროს, როცა ხასეგავა ტუმენს მიადგება, ოიამამ აუჩენძი და გირინი უნდა აიღოს, რათა ამ ალაგას ახალი, მეშვიდე არმია ჩადგეს და გენ. ხასეგავას გვერდში ამოუდგეს. უნდა გამოვტყდეთ, რომ გენ. ლინევიჩის ჯარი ვერასგზით ვერ მოახერხებს მარშალ ოიამას გამარჯვებულისა. და ნაცვლად ჯარის შეჩერებას. თებერვლის დამდეგს. რუსეთს მანჯურიაში 350 ათასი კაცი ჰყავდა (სხვების ანგარიშით კი—450-475 ათასი). მუკდენის ბრძოლის შემდეგ გენ. ლინევიჩს 200 ათასი კაციღა დარჩა ზოგის ანგარიშით 175 ათასი, ზოგისა კი—250 ათასი და მეტიც). თებერვლის დამლევს გენ. ლინევიჩს ახალი მაშველი ჯარი 165 ათასი კაცი) მოუვიდა. თუ ამ ჯარს იმ პოლკებსაც მივუმატებთ, რომელნიც მარტის დამლევსა და აპრილში ჩაუვიდა, გამოვა რომამჟამად (15 აპრილს) გენ. ლინევიჩს 335 ათასი კაცი ჰყავს. მარშალ ოიამას გამოლაშქრება მაისის დამდეგსაა მოსალოდნელი. იმ დროს კი რუსეთის ჯარში სულ 370 ათასი კაცი იქნება. ვლადივოსტოკში ამჟამად 45 ათასი კაცია (იაპონელების ანგარიშით კი 100 ათასია). მაშასადამე მომავალ ბრძოლაში მარშალ ოიამას 510 კაცს გენ. ლინევიჩი მხოლოდ 370 ათას კაცს გამოუყვანს, გენ. ხასეგავას 100 ათას კაცს კი ვლადივოსტოკში მხოლოდ 45 ათასი კაცი დახვდება. ამის გამო გენ. ლინევიჩს ისღა დარჩენია, რომ კუაჩენძინიდან დაიძრას და შეუსვენებლივ ხარბინში ამოვიდეს და ჩრდილოეთ მანჯურიისა, ვლადივოსტოკისა და მთელი ომის ბედიც აქ გადასწყვიტოს (რ. ვ.).

ფელეტონი

მიტინგი ომის წინააღმდეგ იაპონიაში

—

ნუ თუ შესაძლებელია, იტყვის გაკვირვებით მკითხველი, რომ იაპონიაში დღეს იყვეს ვინმე ახლანდელ, მათთვის სასახელო, ომის წინააღმდეგიო? ეს ხომ თავის ქვეყნის ღალატი იქნებაო!

მართალია, ჩვენ ვხედავთ, რომ ეს ომი ყოველდღე ახალ დიდებასა და სახელს ჰმატებს და შემდეგშიაც კიდევ მეტს დიდებას უქადის იაპონიას და მის მხედრობას, მაგრამ იაპონიაში მაინც ბლომად მოიპოვებიან ისეთი პირები, რომელნიც წინააღმდეგნი არიან ომიანობისა და, რა თქმა უნდა, ისინი ამ თვალითვე უნდა უყურებდნენ ახლანდელ ომსაც.

ისინი სამართლიანად სცნობენ, რომ ომიანობა,—გამარჯვებით მიმდინარეობს იგი, თუ დამარცხებით,—მაინც მძიმე ტვირთად აწვება კისერზე მთელს ქვეყანას, უკარგავს მას საუკეთესო შვილებს, იწვევს უსამართლოდ სისხლის ღვრას და აუარებელ ხარჯებს, აღარიბებს ხალხს და უმზადებს მას ძონძებსა და შავებს.

ომის შედეგს სიმწარეს ყველაზე უფრო მწვავედ იგრძნობს და გამოსცდის მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა,—მშრომელი ხალხი, რომელსაც ყველა სხვა კლასებზე უფრო სჩაგრავს ომიანობა და ძირს უთხრის მის კეთილდღეობას.

ამიტომ სრულებით საკვირველი არ არის, რომ მშრომელი ხალხის წარმომადგენელნი იაპონიაშიაც პროტესტს აცხადებენ ომის წინააღმდეგ და ამით არამც თუ არ ღალატობენ თავის ქვეყანას, არამედ იცავენ ხალხის უმრავლესობის ინტერესებსა და სარგებლობას.

ამ საგნის შესახებ საინტერესო ცნობებს იძლევა გაზეთ „რუსკოე სლოვოს“ კორესპონდენტი ვ. კრაევსკი, რომელიც, ამერიკელ მოგზაურის პერსი პალმერის სახელით, შეიპარა ამ ომიანობის დროს იაპონიაში, დაათვალიერა იქაურობა გაიცნო დაწვრილებით ეს ქვეყანა და ახლა ხსენებულ გაზეთში ბეჭდავს თავის შთაბეჭდილებას.

18 ნოემბერს, მოგვითხრობს კრაევსკი, იაპონელ სოციალისტებს ტოკიოში ხიბიას ბაღში ომის საწინააღმდეგო მიტინგი ჰქონდათ დანიშნული. მთელი იაპონიის სოციალისტები დიდის ამბით ემზადებოდნენ ამ კრებისთვის.

სოციალისტები ააღელვა იმ ამბავმა, რომელიც სოციალისტურ ყოველდღიურ გაზეთს „ხეიმინ შიმბუნის“ რედაქტორს შეემთხვა. ეს გაზეთი თავიდანვე იბრძოდა ომის წინააღმდეგ და ბეჭდავდა ამის შესახებ ცხარე წერილებს. 11 ნოემბერს კი მან დაბეჭდა მოწოდება, რომელიც თხოულობდა ხალხისაგან სოციალურ რევოლუციის მოხდენას. დამატებად გაზეთს გააყოლა კომუნისტების პროგრამა, რომელიც ფრანგულ პროგრამიდან იყო გადათარგმნილი.

მთავრობამ დაუყოვნებლივ დაიჭირა როგორც ნომერი, ისე დამატება, და რედაქტორი—პროფესორი კოტოკუ—პასუხისგებაში მისცა, როგორც ისეთი პირი, რომელმაც განიზრახა, რომ სახელმწიფოში არეულობა მოეხდინა. სასამართლომ კოტოკუს სამი კვირით დაპატიმრება გადაუწყვიტა.

მთავრობის ასეთმა ძალ-მომრეობამ კოტოკუს შესახებ ყველა ააღელვა და გამოიწვია სოციალისტების კერძო დემონსტრაციები და შემდეგ თვით საერთო მიტინგიც.

მიტინგისთვის ტოკიოში შეგროვდნენ სხვადასხვა ქალაქების სოციალისტთა წარმომადგენლები. მთავრობამ ნება დართო შეგროვილიყვნენ: მიზეზად ის დაასახელეს, თითქო ყველას სდომებოდეთ ერთად სურათის გადაღება და დასჯილ რედაქტორისთვის მირთმევა, ნიშნად პატივის-ცემისა და თანაგრძნობისა.

კრება ორ საათზე იყო დანიშნული. სწორედ ნახევარი საათის წინ სხვადასხვა მხრიდან შემოვიდნენ ხიბიას ბაღში ჯგუფ-ჯგუფად, ასე 300 ან 400 კაცამდე თითო ჯგუფში. ყველა წმინდად და კარგად იყო ჩაცმული ნაციონალურ ტანისამოსში. ჩუმად და დინჯად მოდიოდნენ და ხელშიაც არ ეჭირათ წითელი ბაირაღები ან სხვა რამ ნიშნები. მხოლოდ ზოგიერთებს მოჰქონდათ ვეებერთელა ბარაბანები და ზოგს სკამები. ამ სკამზე შესვამდნენ ორატორებს სალაპარაკოდ და ბარაბანზე დარტყმით კი გამოხატავდნენ თავის კმაყოფილებას და თანხმობას.

ორ საათზე 6 ათასს კაცამდე შეგროვდა და მიტინგიც დაიწყო. ხალხი დაიყო ჯგუფებად და ორატორების სიტყვებს ისმენდნენ. განსაცვიფრებელი დისციპლინა სუფევდა. ეტყობოდა, რომ ხალხი შესჩვევია ორატორების მოსმენას და მათი სიტყვების დაფასებას. როდესაც სიტყვის რომელიმე ნაწილი მოეწონებოდათ, მაშინვე ორატორის დასაჯილდოვებლად ტაშის კვრას ასტეხდნენ და ამასთან ბარაბანსაც აბრახუნებდნენ. შემდეგ უცებ ისევ სიჩუმე ჩამოვარდებოდა და სულგანაბულნი ყურს უგდებდნენ ორატორის ლაპარაკს.

ბოლოს ხალხის უმეტესობა შეგროვდა ერთის ორატორის გარშემო, რომელიც, ეტყობოდა, მჭევრმეტყველებით განთქმული იყო.

იგი დიდის გრძნობით ამბობდა თავის სიტყვას. მის მეხივით ხმას გრიალი გაჰქონდა. ყველა განცვიფრებაში მოდიოდა, საიდან აქვს ასეთ პატარა და გამხმარ კაცს ასეთი ძლიერი ხმა.

ის გაჰკიოდა:

— ყველა თავისუფლად მოაზრე ადამიანისთვის ცხადია, რომ რუსეთთან ომი ჩვენ სრულიად დაუძლურებამდის მიგვიყვანს...

— მართალია, მართალი!—უძახდნენ მსმენელთა წრიდან და ბარაბანთა ბრახუნიც ბანს აძლევდა.

— ჩვენი ქვეყნის ფინანსები დაეცა და დამოკიდებული გახდება საზღვარ-გარეთისაგან... ჩვენი ცხოვრების ყოველი მხარე საზღვარ-გარეთელების კონტროლის ქვეშ გადავა. და ეს კი იაპონიის ხალხისთვის ძლიერ მავნებელია.

ბარაბანები ახმაურდა და ორატორიც ისვენებს.

შემდეგ ის განაგრძობს კიდევ უფრო ძლიერის ხმით:

— მთავრობის სურვილია, რომ დიდ სახელმწიფოთა რიცხვში ჩაეწეროს,—სასაცილოა, რადგანაც ჩვენ ამისთვის შეძლება არა გვაქვს! ჩვენს ზურგზე გადადის მთელი ეს ომი, ჩვენი ხალხი იტანჯება და ძალ-ღონეს ჰკარგავს. ჩვენ უნდა ვეცადოთ ხალხის კეთილდღეობისათვის, ომი კი არღვევს ამ კეთილდღეობას. მოღალატეა ის მთავრობა, რომელიც ხალხის წინააღმდეგ მოქმედობს და კიდევ აგრძელებს ჩვენთვის მავნებელ ომს. ძირს ომიანობა! ძირს ასეთი მთავრობა!

ტაშის კვრას საზღვარი არა აქვს. ბარაბანიც საშინლად ბრახუნობს.

— პოლიცია მოდის! წამოიძახა ვიღამაც.

ხმაურობა შესწყდა.

მართლაც, გამოჩნდნენ პოლიციელები. 50 ან 60 კაცი თუ იქნებოდა, ხალხი კი 6 ათასს აღემატებოდა.

იფიქრებდით,—აქ შეტაკება მოხდებაო... მაგრამ იაპონელი სოციალისტებიც სხვანაირი ხალხი ყოფილა.

პოლიციელის პირველ მოთხოვნისათანავე ამოდენა ხალხი უცებ დაიშალა. დაიშალა მხიარულად, სიცილ-ხარხარით...

გამიკვირდა. ვკითხე ჩემს თარჯიმანს, რას ნიშნავს ეს ამბავი-მეთქი.

იმან-კი მამიგო: მეტი რაღა უნდათ! მიტინგი კიდეც გათავდა. რაც სათქმელი ჰქონდათ, ყველაფერი სთქვეს. პოლიციელებმა დაიგვიანეს და ხალხი დასცინის.

— მერე ასე ცოტა რომ ილაპარაკეს?

— ჩვენში არას დროს არ ამბობენ გრძელ სიტყვებს. ხალხს მოკლედ უნდა ელაპარაკოთ, მხატრულად უნდა გამოსთქვათ აზრი, რომ გულში ჩაებეჭდოს და დაიმახსოვროს

დემონსტრატების ერთი პატარა ჯგუფი არ ინძრეოდა და ძველებურად ბარაბანს ახმაურებდა. სამი პოლიციელი იქითკენ გაექანა.

ეს ხალხიც მშვიდობიანად და წესიერად დაიშალა.

ასე დასრულდა ეს უცნაური მიტინგი.

ძალიან მეინტერესებოდა შემეტყო, რამდენი არის იაპონიაში სოციალისტი. გავიგე, რომ ოფიციალურის ცნობებით სოციალისტების რიცხვი იაპონიაში ერთ მილიონამდის ადის. ისეთის სიჩქარით ვრცელდება სოციალიზმი იაპონიაში, რომ ასე გეგონებათ, ერთი სოციალისტი ათს თანამოაზრეს ჰბადავსო. „Kole Herald“-ის რედაქტორმა, რომელიც დიდ მცოდნე პირად ითვლება იაპონიაში, გადაჭრით მითხრა: თუ საქმე ასე გაგრძელდა, ახლო მერმისი იაპონიაში სოციალისტური იქნებაო. მთელს ახალგაზრდობას ჩვენში სოციალიზმისაკენ აქვს მიდრეკილებაო.

— რით შეიძლება აიხსნას ეს მოვლენა?

— მიზეზი ბევრია! მიპასუხა მან. განათლება ძალიან ვრცელდება ხალხში. ცხოვრება რთულდება და ძნელდება. მიწა აღარ არის. პროლეტარიატის რიცხვი ქალაქსა და სოფელში იზრდება. თავის შესაფერ შრომას ველარ პოულობენ. მიხვედრა კი ყველას აქვს, რომ ასე ცხოვრება შეუძლებელია. და მხოლოდ ერთის იმედით იმსჭვალებიან, რომ ცხოვრების მიმდინარება უნდა შეიცვალოს და ახალ კალაპოტში ჩადგეს. ყველაფერი ეს ამზადებს ნიადაგს სოციალიზმის იდეის დასამკვიდრებლად და გასავრცელებლად.

— როგორ უყურებს ამას მთავრობა?

— ამ მოძრაობის შეჩერება მის ნებაზე არა ჰკიდია. ეს ისეთი ღრმა და ძლიერი მოვლენაა, რომ ვერავითარ პოლიციურ ძალას არ შეუძლია მისი შეჩერება. ეს მოძრაობა ეკონომიურ ნიადაგზე არის აღმოცენებული და ზომების მიღებაც მხოლოდ ამ ნიადაგზე შეიძლებაო. საჭიროა ახალი ადგილების შოვნა, რომ მშრომელმა ხალხმა—თავის შრომისათვის ახალი რაიონი შეიძინოს. საჭიროა დასასახლებლადაც ახალი ადგილები. ჩვენში ძალიან ვიწროობაა. ამიტომაც აქ სოციალიზმი ასეთ გავლენას პოულობს და, თუ ეს პირობები არ შეიცვალა, კიდევ მეტი გავლენა ექნებაო.

— როგორ იმოქმედა ომმა სოციალიზმის გავრცელებაზე?

— ამ ომის მიზეზით სოციალიზმმა ბევრი მოიგო. ამ ერთ წელიწადში ის საშინლად გაიზარდა და გაღონიერდა.

ამ კითხვებით მივმართე აგრეთვე სოციალიზმის დაუძინებელ მტრებს,—მისსიონერებს. იმათ მიპასუხეს:

— გარწმუნებთ, რომ იაპონიის ხალხის სულიერ მისწრაფებას სრულებით არ შეეფერება სოციალიზმი. ხალხი აქ წყნარი და გულკეთილია. იმას სულ მცირე რამე აკმაყოფილებს.

— მაშ რად ვრცელდება ასე ადვილად?

— ეს უბრალო უკმაყოფილებაა, ახლანდელ ყოფა-ცხოვრებით და სხვა არაფერი!

— მამაო, ეს ამიხსენით: ახლა, მაგალითად, იაპონიაში ძველ რწმენას, ძველ რჯულს ებრძვის ქრისტიანობა და სოციალიზმი. ამ ორ მოძღვრებაში რომელი უფრო იმარჯვებს?

— ქრისტიანობა უფრო ძლიერია,—რა თქმა უნდა, ის გაიმარჯვებს.

— ახლა მაინც, რომელი უფრო ვრცელდება!

— ახლა კი სოციალიზმიო, მიპასუხა ფრანგმა მისსიონერმა და ამოიოხრა.

ერთი თავისებური მხარეც აქვთ იაპონელ სოციალისტებს.

მაშინ, როდესაც ევროპის სოციალისტები ყველაფერს ხელს ჰკიდებენ და ყველა დაჩაგრულსა და ყოველსავე წმინდა საქმეს მოსარჩლეობასა და მფარველობას უწევენ და თითქმის ყველაფერი ეს მხოლოდ თავის პრივილეგიად მიაჩნიათ, იაპონელი მათი ამხანაგები მხოლოდ ეკონომიურ კითხვებს მისდევენ და ძალიან იშვიათად ჰკიდებენ ხელს სხვა საქმეებს.

ალბად, ამით აიხსნება ის გარემოებაც, რომ ომის საწინააღმდეგო პროტესტსაც არ ჰქონდა შესაფერისად ძლიერი ხასიათი.

მანჯურიასა და კორეაში, „მორნინგ პოსტ“-ის, ცნობებით მარშალი ოიამა საზღვაო ომის შედეგისთვის მოემზადა. მანჯურიასა და კვანტუნში იაპონელებმა იმდენი სურსათი გაამზადეს რომ, თუ ვინიცობაა ადმირალი ტოგო დამარცხდა, იაპონელებს საკვები არ შემოაკლდებათ. კორეაში იაპონიის ჯარი საზღვაო ომის შედეგს აღარ უცდის და გაჩქარებით ჩრდილოეთისკენ მიიწევს (რ. ვ.).

მომავალი ბრძოლა ზღვაზე. „ლოკ. ანც.“ს ჩიფუდან ატყობინებენ, რომ გასულ ხუთშაბათს ადმ. ტოგოს ფლოტი კორეის სრუტეში, მოზამპოს მახლობლად იყოო, ე. ი. ფორმაზოსა და პესკადორის კუნძულებს 1,500 ვერსით იყო დაშორებული (რ. ვ.).

გენ. კუროპატკინმა „ბერლ. ტაგ.“-ის ცნობებით ხელმეორედ ითხოვა სამსახურიდან გასვლა; მიზეზი ის არის, რომ გენ. ლინევიჩს ვერ ურიგდება და უთანხმოება მოსდით (რ. ს.).

ახალი ამბავი

◆ ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის **მოხელეებმა შემდეგის დეპეშით მიმართეს მთავარ სამმართველოს უფროსს:** „ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქში გამეფებულმა უკანონობამ უმწვერვალობამდის მიაღწია. არსად, არც ერთ დაწესებულებაში, მოსამსახურეთა პიროვნება, არ არის ისე შელახული, როგორც ჩვენ სამსახურში. კანონი დავიწყებულია. სასტიკი ზომების მიღება ჩვეულებრივი მოვლენაა. მოხელის დაუკითხავად ერთი ქალაქიდან მეორეში გადაყვანა, დამცირება, ჯარიმები და სამსახურიდან დათხოვნა ხშირ მოვლენად გარდაიქცა, რაც ჩვენს საერთო უკმაყოფილებას იწვევს. ჩვენ, ამ ოლქში მოსამსახურენი გთხოვთ სენატორ დურნოვოს სახელობაზე გამოგზავნილი სამი თხოვნა გაზეთებში გამოაქვეყნოთ, დანიშნოთ გამოძიება და ამით ბოლო მოუღოთ ჩვენს ოლქში გამეფებულ თვითნებობას“.

◆ ოთხშაბათს, 20 აპრილს, ბრიუსელიდან ტფილისში ჩამოვიდა **უსახელო საზოგადოების მთავარ-გამგეობის საბჭოს წევრი** ინჟენერი მუტრიე, რომელიც ამჟამად ამ საზოგადოების დირექტორთან ბ-ნ გრიმანისთან ერთად იკვლევს კონდუქტორ-ვატმანთა მოთხოვნილებებს. ბრიუსელიდან არც ერთი კონდუქტორ-ვატმანი არ ჩამოუყვანია ამ საზოგადოებას, როგორც ეს სხვა გაზეთებში იყო მოხსენებული.

◆ ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილმამულო **ბანკის რწმუნებულთა კრება შესდგება მაისის 29-ს** და არა 22-ს, როგორც ეს გაზეთებში იყო გამოცხადებული. ამ კრებაზე ამორჩეულ იქნება ბანკის ორი დირექტორი თ-დ გრუზინსკისა და მამაცაშვილის ნაცვლად, რომელთაც ვადა უთავდებათ. გარდა ამისა, განხილულ იქნება მოხსენება იმ სარევიზიო კომისიისა, რომელიც შარშან ამოირჩიეს.

◆ სოფ. ნინოწმინდაში შემდეგი ამბავი მოხდა: ამ რამდენისამე წლის წინად ავკაცობისთვის გაძევებული ერთი გლეხი სოფელმა ისევ უკან მიიღო იმ პირობით, რომ ავ-კაცობაზე ხელი აეღო. უკან დაბრუნებული გლეხი რამდენსამე ხანს რიგიანად იყო, მაგრამ ამას წინად ტყეში თავის მტრად მიჩნეული კაცისთვის თოფი ესროლნა. თოფმა უმტყუნა, მაგრამ სოფელში შეუტყეს და ეს ცოდვა აღარ აპატიეს: 19 აპრილს **სოფლის ბაზარში ხანჯლით აკუწეს ეს გლეხი.**

◆ ტფილისის მიდამოების ბაღების **მუშა-მებაღეებმა ურთიერთშორის მოილაპარაკეს** და პირობა შეკრეს, მწვანილეულობა ბაზარში თითონვე ჰყიდონ. ამის გამო ქალაქში, ტფილისის ბაყლების რიგზე რამდენიმე თვალი დაიქირავეს, მაგრამ გუშინ-წინ, 20 აპრილს, ბაყლები მიუცვივდნენ მუქარით, ნება არა გაქვთ ივაჭროო, ჩვენ ჩვენი ფულები დაგვიბრუნეთ და მერე თქვენ, რაცა გსურთ, ისა ჰქენითო. როგორც ხმა დადის, მებაღეებს ბაყლებისაგან თვითეულს რამდენიმე თუმანი წინდაწინვე აქვს მიღებული. მებაღეებმა თურმე სასტიკად აკრძალეს, რომ ბაყლებს აღარაფერი მიჰყიდონ.

◆ შაბათს, 23 აპრილს, **ქალაქის გამგეობა განიხილავს** თავისი მოსამსახურეთა თხოვნას მაის მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

◆ კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოების დარბაზში ამ დღეებში ექიმი სტეფანოვი წაიკითხავს ვრცელ **მოხსენებას პიროგოვის სახელზე გამართულ კრების** შესახებ, რომელზედაც იგი დელეგატად იყო გაგზავნილი.

◆ ერევნის გუბერნიაში ამჟამად **ასი ათასი მანათის გაუყიდველი ბამბა ძევს.** ისეთი კრიზისი ჩამოვარდა თურმე, რომ ფუთს 7 მანათად იძლევიან და არავინაა მსყიდველი. არც განჯისა და ბაქოს გუბერნიებშია ნაკლები კრიზისი. იქაც დიდძალი ბამბა დარჩა თურმე გაუსყიდველი.

◆ ქალაქის მიწების იჯარით აღების შესახებ **ნაძალადეველთა თხოვნას საბჭო** ორ მაისისთვის გაიხილავს.

◆ მანთაშევის სახელობის სავაჭრო სკოლის **საპატიო მზრუნველად ინიშნება ი. ლ. ტერ-ოსენიანცი.**

◆ ტფილისის მაზრის უფროსი თ-დი **ლ. გ. ჯანდიერი გლეხთა მოძრაობის გამო** ამჟამად სართიჭალაში იმყოფება.

◆ როგორც გვატყობინებენ, პეტერბურგში **სრულიად რუსეთის ჟურნალისტთა კრებას** კავკასიიდან თავ. გ. მ. თუმანოვიც დასწრებია, რომელსაც ჟურნალ „ჯეჯილის“ წარმომადგენლობა ჰქონია მინდობილი.

◆ კახეთისკენ დიდმა წვიმებმა გზები წალეკა. გასულს შაბათს წვიმის ნიაღვარებმა ისე მოადიდეს მდ. ლოჭინი, რომ ერთი **რუსის ჯარისკაცის ტაჩკა გადააბრუნა,** დ კარგა მანძილზე ატარა. დამტვრეული ტაჩკა, ცხენი და კაცი გლეხებმა ძლივ-ძლივობით გადაარჩინეს. ალაგ-ალაგ გზაც გაფუჭებულია.

◆ კაპიტანი გიორგი კერესელიძე, კონსტანტინე ჩხეიძე, თავის ნებით წასული იუნკერი გაბაშვილი, აღმოსავლეთ ციმბირის პოლკის პორუჩიკი ჩაპოძე და ბაქოს პოლკის აფიცერი გედევანიშვილი დეპეშით ულოცავენ **თავიანთ ოჯახობას და ნაცნობებს ქრისტეს აღდგომის დღეს.** კერესელიძე და ჩხეიძე—გზიდან, გაბაშვილი—მოსკოვიდან და ჩაპოძე და გედევანიშვილი—მანჯურიიდან. ულოცავენ აგრეთვე ხარბინიდან—თავ. სუმბათაშვილი, გოძიადან—თავ. ჭავჭავაძე და ბორძიდან—ჯაფარიძე.

◆ როგორც გვწერენ ახალ-სენაკიდგან, 14 აპრილს, საღამოს 8 საათზე, ხუთი შეარაღებული კაცი დაეცა მე 39 ვერსზე კაზარმას, გაძარცვა ლიანდაგის დარაჯი და უფროსი მუშა, წაიღეს 40 მანათი.

◆ სად. კასპი. 15 აპრილს, ნაშუადღევის 3 საათსა და 57 წუთზე კონდუქტორი ვასილი ხოხი უნდა შემხტარიყო მიმავალ მატარებელზე, ფეხი აუცილდა და ვაგონებს შუა ჩავარდა. დაშავებული რკინის გზის სავაადმყოფოში გაგზავნეს.

◆ 15 აპრილს ნაშუადღევის 5 საათზე ყარსის ლიანდაგზე მე 294 ვერსზე ნახეს ლიანდაგთან ახლოს ვიღაც კაცის გვამი.

◆ სად. მუხიანი: 13 აპრილს, როდესაც საქონლის მატარებელი № 22 მიდიოდა, ვიღამაც გახსნა ვაგონი და გადმოაგდო ორი ცალი ფართლეულობისა. საქონლის ერთი ნაწილი იქვე ტყეში იპოვნეს, მე 84 ვერსზე.

◆ ამ დღეებში ნავთლუღიდან ნატანებში გაიგზავნა ჯარისათვის 2200 ფუთი ქერი.

◆ საბუნიაში, როგორც გვატყობინებენ, ვიღაც უცნობ პირებს გადაუწვავთ ადგილობრივ ბოქაულის ბ-ნ რუდკოვსკის სადგომი. ამის გამო ბოქაულის კანცელარია და ბინა მოთავსებულია საბუნიის საქალაქო სასწავლებლის სადგომში.

კავკასიელ სომეხთა პეტიცია

ტფილისში მცხოვრებ სომეხთა ერთმა ნაწილმა შეიმუშავა პეტიცია კავკასიის ნამესტნიკისთვის მისართმევად. მოგვყავს ამ პეტიციის მუხლები.

1) კავკასიაში უნდა შემოვიდეს ფართო საერობო უწოდებრივო თვითმართველობა, უნდა იყოს დაარსებული: ა) წვრილი საერობო თვითმართველი ერთეული, ბ) სამაზრო ერობა, სადაც ქალაქებს ცალკე თვითმართველობა ექნებათ მინიჭებული გ) სრულიად კავკასიის საერობო კრება, რომელსაც ექნება მინიჭებული საკანონმდებლო ინიციატივა და კავკასიის შესახებ კანონებზე შეეძლება მოლაპარაკება. 2) ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ყველა საქმეზე, საპოლიტიკო, სარწმუნოებრივ, პრესსის და სამსახურის შესახებ საქმეებზედაც. არჩეულ მომრიგებელ მოსამართლეთა შემოღება, მომრიგებელ მოსამართლეებთან საქმის წარმოება ადგილობრივ ენებზედაც უნდა იყოს ნება დართული, მსაჯულებმა და გამომძიებლებმა იმ ადგილში, სადაც ბლომად ცხოვრობენ სომხები, უთუოდ უნდა იცოდნენ სომხური ენა. 3) წოდებრივ პრივილეგიების მოსპობა, ქალების გათანასწორება კაცებთან. 4) სიტყვის, კრების, გაფიცვის და შეკავშირების თავისუფლება. ფილანტროპიულ, საკულტურო, საგამომცემლო და სხვა განმანათლებელ დაწესებულებათა დაარსებაზე, აგრეთვე ჟურნალ-გაზეთების გამოცემაზე ნებართვის მოთხოვის მოსპობა. ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთობა სრულიად უნდა იყოს განთავისუფლებული ცენზურისაგან და მხოლოდ სასამართლოს წინაშე უნდა იყოს პასუხისმგებელი. 5) კრებებში ენის თავისუფლება. სოფლის დაწესებულებაში და სოფლის კანცელარიების ერთმანეთში მიწერ-მოწერა ადგილობრივ ენაზე. 6) პიროვნებისა და სადგომების ხელუხლებლობა, იმპერიაში პასპორტების მოსპობა, ადმინისტრატიულ დასჯის და გაძლიერებულ დაცვის წესების მოსპობა. 1898 წ. კანონის ძალით შემოღებული საპოლიციო დარაჯები უნდა მოისპოს და სამაგიეროდ უნდა შემოვიდეს საერობო დარაჯები, რომელიც უნდა ემორჩილებოდეს საერობო სამმართველოს ისევე, როგორც ქალაქ ადგილებში პოლიცია უნდა ემორჩილებოდეს ქალაქის თვითმართველობას. 7) საყოველთაო უფასო სასწავლებლები. კერძო ინიციატივის თავისუფლება ყოველგვარ სასწავლებლების გახსნაში მთავრობის ნება-დაურთველადაც. საზოგადოების ძალთა მონაწილეობა მთავრობის საშუალო და უმაღლეს სასწავლებლების გამგეობაში. ტფილისში ორივე სქესის ახალგაზრდობისთვის უნივერსიტეტის დაარსება. ამ უნივერსიტეტში უნდა იყოს კავკასიის შესწავლა და ადგილობრივ ენების კათედრებიც შემოღებული. აგრეთვე სხვა უმაღლესი სასწავლებლები უნდა დაარსდეს კავკასიაში. 8) სავალდებულო სწავლა სომეხ ყმაწვილებისათვის უნდა იყოს სომხურ ენაზე. რუსული ენა უნდა ისწავლებოდეს, როგორც ერთი საგანთაგანი. სახელმწიფო სასწავლებლებში ყურადღებით უნდა ისწავლებოდეს სომეხთა სამღვთო სჯული, ისტორია და ლიტერატურა ისევე საფუძვლიანად, როგორც სხვა უმთავრესი საგნები. 9) სინიდისის თავისუფლება. გაუქმებულ უნდა იქმნეს სარწმუნოებრივი და სასჯულო შევიწროებანი. ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში უნდა აფიცებდნენ სამშობლო ენაზე. 10) უნდა აღდგენილ იქმნეს სომხის ეკკლესიის ძველი ავტონომია და გაუქმებულ იქმნეს ყოველივე მისი შევიწროებანი, ნამეტნავად ა) სომხის ეკკლესია არ უნდა იქმნეს შევიწროებული ქონების მართვა-გამგეობისა, განათლებისა და საქველმოქმედო დაწესებულებათა საქმეში; ბ) სომხის ეკკლესია შევიწროებული არ უნდა იყოს სასულიერო-საადმინისტრაციო პირების არჩევანებში, როგორიცაა, მაგალითად, ეჩმიაძინის სინოდის წევრთა, საეპარქიო უფროსთა, ვიკართა და სხვათა არჩევნები; გ) სომეხთა ეკკლესიას ნება უნდა ჰქონდეს დრო-გამოშვებით მოიწვიოს ხოლმე საეკკლესიო სახალხო კრებები, როგორც რუსეთის ეპარქიათა, ისე მთელის სასომხეთისა; 11) სომხის ეკკლესიას უნდა დაუბრუნდეს ყველა მისი სამრევლო სკოლები და ქონებანი, რისთვისაც გაუქმებულ უნდა იქმნენ კანონები და ბრძანებანი, გამოცემულნი 1884,—1903 წლებში, რომლებიც შეეხებოდა საეკკლესიო ქონებათა, სკოლებსა, მონასტრებსა და სასულიერო სემინარიებს. 12) კავკასიაში უნდა დაწესდეს სომეხ კათოლიკეთა ეპარქია, უფროსის ეპისკოპოსით, რომელიც ეროვნობით სომეხი და სომეხ-კათოლიკეთა სარწმუნოებისა უნდა იყოს. 13) შემოღებულ იქმნეს პროგრესიული გადასახადები და ცხოვრებისათვის უსაჭიროესს საგნებზე მოისპოს ყოველივე არა-პირდაპირი გადასახადები. 14) გაწესრიგებულ იქმნას მუშათა შრომა კანონმდებლობის წესით განსაზღვრულის სამუშაო დროს დანიშვნითა და მუშათა კავშირების დაარსებით. 15) ხაზინის დახმარებით აუცილებლად საერთოდ გამოსყიდულ იქმნეს მულქადარია (მემამულეთა) და დროებით ვალდებულ გლეხების ნადელები იმ საფუძველთა ძალით, როგორც ეს შიდა-გუბერნიებში იქნება. ხელი უნდა მოემართოთ სოფლის საზოგადოებათ, რომ მათ შესძლონ კერძო მემამულეთა მიწების გამოსყიდვაც, რისთვისაც უეჭველად უნდა დაეხმაროს და სესხი მისცეს საგლეხო ბანკებმა. 16) კერძო საკრედიტო დაწესებულებათ ნება უნდა მიეცეთ გლეხთა მიწების შესასყიდად ოპერაციებისა. 17) მცირე მიწების პატრონ და უმიწაწყლო გლეხებს უნდა მიეცეთ უპირატესობანი დასახლდნენ ამიერ-კავკასიის თავისუფალ მიწებზე და შეღავათიანად ისარგებლონ ტყით, სათიბებით და საბალახოებით. 18) გაუქმებულ უნდა იქმნეს მთავრობის ყველა ის საგანგებო კანონმდებლობანი და შემავიწროებელი განკარგულებანი, რომლებიც ოსმალეთიდან გადმოსახლებულ სომხებს შეეხება და რომელთაც რუსეთის ქვეშევრდომლობა მიუღიათ. ამათაც ისეთივე უფლება უნდა ჰქონდეთ ამიერ-კავკასიაში ნადელების მიღებისა, როგორც სხვებს. 19) სომეხნი ჯარის კაცნი მშვიდობიანობის დროს კავკასიის საზღვრებში უნდა ამსახურონ. 20) ყველა სომხები, რომლებიც პოლიტიკურ საქმისათვის გადასახლებულნი არიან, განთავისუფლებულ და სამშობლოში დაბრუნებულ უნდა იქმნენ.

ზემოდ აღნიშნულ მოთხოვნილებათა აღსასრულებლად, საჭიროა მოწვეულ იქმნას სრულიად რუსეთის წარმომადგენელთა კრება, საზოგადო თანასწორის პირდაპირის და საიდუმლო კენჭის ყრით, და სომხის ერს ნება მიეცეს მონაწილეობისა რუსეთის შიდა გუბერნიებთან ერთგვარის პირობებით.

საეკლესიო ქონების ნაციონალიზაცია

პრესსამ არა ერთხელ და ორჯელ გამოსთქვა ის აზრი, რომ ეხლანდელ ფინანსიურ გაჭირვებულ დროს კარგი იქნება მონასტრებსა და ეკლესიებს ქონება ჩამოართვან და საზოგადო საკუთრებად გადააქციონ. ყველამ იცის, რომ თვითონ მონასტრები ეხლა, როცა სახელმწიფო გაჭირვებაში ჩავარდა, თითქმის არაფრითაც არ შველიან სამშობლოს და არც წინად შველოდნენ თუმცა კი ცხადია, რომ გაღატაკებულსა და გაღარიბებულ ხალხს იმ ეკლესიებმა და მონასტრებმაც უნდა უშველონ, რომელთაც ხალხი გაყვლიფეს და თავის აუარებელი ქონება ხალხის ზურგიდან ამოიღეს. მარტო ესეც ამტკიცებს, რომ მონასტრებმა თავის წინანდელი დანიშნულება დაკარგეს. ეხლანდელმა დრომ იმათზედაც იქონია თავის გავლენა. მაგრამ, რადგან ყველამ იცის, რომ ეხლანდელი ბერები და მონოზნები სულიერისა და გონებრივის მხრით მეტის-მეტად ჩამორჩენილნი არიან და რადგან მონასტრებში გამეფებული კარჩაკეტილობის რეჟიმი ბერების განვითარებას სრულიად არ უწყობს ხელს, ამიტომ საკვირველიც არ არის, რომ ბერების ზნეობრივმა მხარემ ის ელფერი მიიღო, რომელიც ქრისტიანობის პრინციპებისაგან გაუვალ ხრამით არის დაშორებული. ამჟამად მონასტრები თავისთავად ახალი გარდასახადი და ბეგარაა იმ ხალხისთვის, რომელიც ისედაც გაიყვლიფა და გაღატაკდა. ამიტომ მონასტრების მიწებისა და ქონების ნაციონალიზაცია, სახელმწიფოს საკუთრებად გამოცხადება სწორედ რო დროზე მისწრებული და სამართლიანი ზომაა. ზოგიერთა მონასტრებსა და ეკლესიებს ეს ქონება ეხლავე უნდა ჩამოერთვას, დანარჩენებს კი თანდათან. ამ საქმის დასაჩქარებლად საჭიროა კანონმა ბერებს ერის კაცად გადასვლა გაუადვილოს და ერის კაცებს კი ბერად შესვლა გაუჭიროს და ისეთი პირობები დაუდოს, რომ ბერად მხოლოდ მართლა განათლებულსა და ქრისტიანულ პრინციპებზე აღზრდილს შეეძლოს. თვითონ ეკლესიები და მონასტრები სკოლებად უნდა გადაკეთდეს, მაგალითად: სამეურნეო და სხ. ან თავშესაფარად (ავადმყოფთათვის, მოხუცთათვის, მცირეწლოვან დამნაშავეთათვის და ობლებისთვის). ხოლო, ვისაც ბერობა უნდა, იმას ერში, სოფლად და ქალაქადაც შეუძლიან სიარული და ქადაგება. ეს ბერისთვის, რასაკვირველია, უფრო ძნელი იქნება, მაგრამ იმავე დროს უფრო ღირსეულიც.

ამბობენ, მონასტრებისა და ეკლესიების ქონების ნაციონალიზაცია გლეხებისა და საზოგადოდ განუვითარებელ კლასთა უკმაყოფილებას გამოიწვევსო, მაგრამ ეს მართალი არ არის. საჭიროა მხოლოდ, რომ ამ მორწმუნე გლეხებს აუხსნან, რომ წართმეული მამული და ქონება ხალხის საკუთრებად იქნება ცნობილი.

ისიც შესაძლებელია, რომ მონასტრებისა და ეკლესიების ქონების ნაციონალიზაცია ბევრს მეტის მეტად რადიკალურ ზომად მიაჩნდეს, მაგ-

---

მართალია, ომის წინააღმდეგ პროტესტი სოციალისტების პარტიიდან მომდინარეობს, მაგრამ პარტიის უმეტესობა არ თანაუგრძნობს ამ პროტესტს.

უმეტესობა ამბობს: ჩვენი საქმე მარტო ეკონომიური კითხვებიაო. უმცირესობას კი თავის ვალდებულებად მიაჩნია უსათუოდ წინააღმდეგობა გაუწიოს ახლანდელ ომს.

ამ საგანზე მე მქონდა საუბარი ოსაკაში ერთს მასწავლებელთან, რომელიც სოციალისტია და „ხეიმინ შიმბუნში“ თანამშრომლობს.

— ომის დაწყების შემდეგ მე გავშორდი რედაქციას,—სთქვა მან. ის ეკუთვნის ჩვენი პარტიის უმცირესობას და მე კი უმეტესობას, რომელიც ამბობს, რომ ომის საქმეში ჩარევა არ არის ჩვენი საქმეო.

— როგორ, თქვენ არა ხართ ომის წინააღმდეგი?

— მე ვუყურებ ამ ომს, როგორც ისეთს მოვლენას, რომელიც თან ახლავს კაპიტალისტურ წეს-წყობილებას. თუ მოისპო ეს წეს-წყობილება, მაშინ, რა თქმა უნდა, ომიანობაც მოსპობილი იქნება. ჩვენ უფრო ღრმა და პირდაპირი მიზანი გვაქვს,—ვებრძოლოთ კაპიტალიზმს. იმის დაძლევასთან ერთად ჩვენ ყველაფერ სხვასაც ვძლევთ და გავიმარჯვებთ. რა აზრი აქვს, რომ ახლა ჩვენ ვებრძოლოთ ომს, რომელიც ერთი შედეგთაგანია ამ უკუღმართ წეს-წყობილებისა. ჩვენ არ გამოგვადგება, რომ ჩვენი ძალა დავქსაქსოთ და დავაწვრილმანოთ. ასე ვფიქრობ მეც და ჩემთან ერთად იაპონელ სოციალისტების უმეტესობაც, რომელთა ჯგუფს მე ვეკუთვნიო.

ამიტომაც არის, რომ ომის წინააღმდეგ მოძრაობას იაპონიაში არა აქვს სერიოზული მნიშვნელობა და გავლენა.

ამასთან ისიც მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ იაპონელი სოციალისტები ჯერ თავის ქვეყნის შვილნი არიან—ისინი პირველად იაპონელები არიან—და შემდეგ კი—სოციალისტები. როგორც ყველაფერ სხვას,—ამბობს ბ. კრაევსკი,—იაპონელებმა სოციალიზმსაც თავისებური, იაპონიური ელფერი მისცეს, ჩასვეს ის ნაციონალურ კალაპოტში და იმედი აქვთ, რომ ამ კალაპოტში პრაქტიკულად უფრო ადვილად განახორციელებენ თავის მიზანსა და მისწრაფებას.

ფრიდონ.

ჟურნალისტების კავშირი

რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალი მომენტი დადგა,—ხალხი გამოდის პოლიტიკურ ასპარეზზე და ემზადება ახალ, უფლებრივ ცხოვრებისათვის. ეს გარემოება ყველას აფიქრებს და აიძულებს ამ საკითხს ჩაუკვირდეს და გამოარკვიოს: როგორი უნდა იყოს რუსეთის ახალი პოლიტიკური წყობილება, რა ძალები უნდა წარმოსდგნენ წინ რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში? ყველა ფაცურობს, ყველა ცდილობს თავისი ფიზიონომია გამოარკვიოს და განსაზღვრული ალაგი დაიჭიროს საპოლიტიკო მოქმედებაში.

ამნაირად დღეს მთელ რუსეთში გამორკვევის ხანა დადგა: რაც აქამდის დამალული იყო, დღეს აშკარავდება. იკრიბებიან, მსჯელობენ, პოლიტიკურ კითხვებს არკვევენ, პროგრამებს ადგენენ. ხალხი, საზოგადოება აშკარად გამოდის საპოლიტიკო მოქმედების სარბიელზე. შეიკრიბნენ ინჟენერები, ვექილები, ექიმები, ერობის წარმომადგენელთა სხვადასხვა ჯგუფები, შეიკრიბნენ ჟურნალისტებიც.

ჟურნალისტების კრება გაიხსნა 5 აპრილს პეტერბურგში: სულ კრებაზე გამოცხადდა 140 კაცი, ამათში 130 იყო წარმომადგენელი სხვადასხვა რედაქციებისა, 30 კი მოწვეული იყო საორგანიზაციო ბიუროსაგან. ქართულ პრესსისაგან ხუთი წარმომადგენელი დაესწრო: გ. ლასხიშვილი, პ. სურგულაძე, გ. რცხილაძე, ზ. ავალიშვილი და ი. ჯავახიშვილი.

პირველ სხდომაზე დასაწყისშივე კრებამ ფეხზე წამოდგომით პატივი სცა პეტერბურგში ცხრა იანვარს დახოცილთა ხსოვნას.

ამას შემდეგ კრება შეუდგა იმის გამორკვევას, თუ რა ნიადაგზე არის შესაძლებელი ჟურნალისტების კავშირის შექმნა, რომ ამით დაარსდეს საერთო პოლიტიკური კავშირი საერთო მიზნის მისაღწევად.

თავიდანვე ჟურნალისტები შეეკითხნენ ერთმანეთს: როგორ უნდა უცქეროდნენ ისინი თავიანთ თავს,—როგორც რედაქციების წარმომადგენლებს და, მაშასადამე, მათი სახელით მოლაპარაკეთ, თუ როგორც დამოუკიდებელ, მხოლოდ თავისი სახელითა და პასუხის მგებლობით მომქმედთ. გამოირკვა, რომ თითოეული მონაწილე მოქმედობს პირადი პასუხისმგებლობით და იცავს მხოლოდ თავის აზრებსა და მიმართულებას.

კრება შეეხო რუსეთის დღევანდელ მდგომარეობას. ერთხმად აღიარა, რომ დღევანდელი ბიუროკრატიული წყობილება ხალხის ინტერესების წინააღმდეგია,—ხალხის შემავიწროვებელი და გამათახსირებელია და ამიტომ საჭიროა არის სრულიად შეიცვალოს დღევანდელი რეჟიმი და დაწესდეს დემოკრატიული უფლებრივი წყობილება. ამისთვის უნდა მოწვეულ იქმნას დამფუძნებელი კრება, არჩეული საყოველთაო, საიდუმლო და თანასწორი კენჭის ყრით.

აქ, როგორც ხედავთ, არაა ნათქვამი: „თანასწორი ორივე სქესისათვის“. ამნაირად ზემოაღნიშნული ფორმულა ქალებს საარჩევნო უფლების გარეშე სტოვებს. აღმოჩნდა, რომ კრებაზე პრინციპიალურად არავინ არ იყო წინააღმდეგი ქალების საარჩევნო უფლებისა, ხოლოდ ზოგიერთნი პრაქტიკულად დღეს შეუძლებლად სთვლიდნენ ქალების არჩევნებში მონაწილეობას. ატეხილ კამათში გამოირკვა, რომ ქალებისათვის საარჩევნო უფლების დღესვე მინიჭებას მოწინააღმდეგეთ არავითარი სერიოზული საბუთი არა აქვთ. მეორე მხრით, რუსეთში ქალს ისეთი აქტიური მონაწილეობა მიუძღვის სახალხო უფლების მოპოებათა ბრძოლაში, რომ მან სავსებით დაამტკიცა თავისი უფლება პოლიტიკურ თანასწორობისა მამაკაცთან. ეს კითხვა დემოკრატიულ პარტიისათვის აღარც არსებობს, როგორც კითხვა, რადგან მან თავის წრეში, დიდი ხანია, განახორციელა სქესებრივი თანასწორობა და აქ ერთნაირად მუშაობს ვაჟიც და ქალიც. მომხდარმა კენჭის ყრამ გამოამჟღავნა კრების უმრავლესობის მოთხოვნა—ქალს მიენიჭოს მამაკაცთან თანასწორი უფლება პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამიტომ საარჩევნო ფორმულას მიემატა: „თანასწორი, განურჩევლად სქესისა“.

ამასთანავე კრებამ დასძინა: დამფუძნებელ კრების მოწვევას წინ უნდა უძღოდეს მოპოება ყოველგვარ თავისუფლებისა, რომელიც ხელს შეუწყობს აზრთა და მიმართულებათა გამორკვევას: თავისუფლება ბეჭდვის, სიტყვისა, კრებისა და კავშირისა.

შემდეგ კრება შეუდგა სოციალურ პროგრამის გარკვევას. ჯერ აგრარულ საკითხს შეეხნენ. შეუძლებელია გლეხობას გვერდი ავუხვიოთო,—ერთხმად განაცხადეს კრების წევრებმა. კრების უმეტესობამ დაადგინა: საჭიროა მიწის ნაციონალიზაციაო. ამ დადგენილებას დაეთანხმა სოციალ-დემოკრატია, რომელმაც განაცხადა: აგრარული კითხვის გადაწყვეტა შეკავშირებულია საერთო მუშათა კითხვის გადაწყვეტასთან. ჩვენი მიზანია: წარმოების ყოველი საშუალება მწარმოებელის ხელში გადავიდეს. ამ პრინციპის გვერდის ახვევა, მარტო მიწის გამონაწილება და მისი ნაციონალურ საკუთრებად აღიარება მხოლოდ ბურჟუაზიულ მთავრობის გაძლიერებას გამოიწვევსო.

მუშათა კითხვის შესახებ განსაკუთრებული კამათი გამოიწვია რვა საათის სამუშაო დღემ. წარმოადგინეს ორი ფორმულა: 1) შემოღება რვა საათის სამუშაო დღისა წარმოების ყველა დარგებში დაუყოვნებლივ და 2) შემოღება რვა საათის სამუშაო დღისა დაუყოვნებლივ წარმოების იმ დარგებში, სადაც ეს შესაძლო იქნება. პირველი ფორმულა ხმის უმეტესობით იქმნა მიღებული.

ნაციონალურმა კითხვამ დიდი კამათი გამოიწვია. წარმოადგინეს ორი რეზოლუცია. პირველი რეზოლუცია შეიცავდა ცნობილ ფორმულას: ყოველ ერს უფლება აქვს პოლიტიკურის თვითგამორკვევისო. ამ ფორმულით არ დაკმაყოფილდენ არა-რუსს ეროვნებათა ჟურნალისტები და კრების უმეტესობამ უარჰყო ეს ფორმულა. მიღებულ იქმნა მეორე რეზოლუცია, რომელიც რამდენსამე მუხლს შეიცავს:

1. სრულიად-რუსეთის ჟურნალისტთა კრება სცნობს, რომ რუსეთის სახელმწიფოს ყველა ეროვნებათა თანასწორობა და თითოეულ ერის უფლება თავისუფალ კულტურულ განვითარებისა უზრუნველ-ყოფილ უნდა იქმნეს სახელმწიფოს ძირითადი კანონებით. ესაა საზოგადო ფორმულა, რომელიც შეეხება საზოგადოდ ყოველ ეროვნებას და ყოველი ეროვნების წარმომადგენელს. 2. სრულიად-რუსეთის ჟურნალისტების კრება სცნობს ყოველ ეროვნების უფლებას,—თავისთვის ისეთი დაწესებულებანი შეიქმნას, რომელნიც საშუალებას მისცემენ ერს თავისი კულტურული მოთხოვნილება—საჭიროებანი განახორციელოს (ეს ფორმულა ეხება იმ ერებს, რომელთაც არა აქვთ განსაზღვრული ტერიტორია და სხვა ერებში გაბნეულნი არიან: ურიებს და რაოდენადმე სომხებს)

3. სრულიად-რუსეთის ჟურნალისტების კრება სცნობს, რომ, ერთი მხრით, რუსეთის სახელმწიფოს პოლიტიკურ ერთიანობის დაცვის საჭიროებას, მეორე მხრით, სახელმწიფო გამგეობის დეცენტრალიზაციის საჭიროებას, აცხადებს ცალკე კუთხეებისა და ეროვნებათა უფლებას დაიწესონ თავისთვის ავტონომია, რომელიც უნდა შემუშავებულ იქმნას თითოეულ ასეთი კუთხისა დ ეროვნების დამფუძნებელ კრებისაგან და დამტკიცებულ—სახელმწიფო პარლამენტისაგან. ეს ფორმულა ეხება იმ ეროვნებას, რომელთაც საკუთარი ტერიტორია აქვთ. ავტონომიურ ტერიტორიის საზღვრები თვითონ ერმა უნდა დააწესოს თავის დამფუძნებელ კრებაზე.

ამნაირად კრებამ განიხილა ყველა მუხლები თავისი პროგრამისა. შემდეგ შეუდგა ამ კითხვის გამორკვევას,—შეუძლია თუ არა კავშირი შეადგინოს. აქ გამოირკვა, რომ საერთო სოციალურ პროგრამის მიღება შეუძლებელია, რადგან კრების სხვადასხვა ჯგუფებს განსაზღვრული სოციალური პროგრამები აქვთ და მათი შეთანხმება კი შეუძლებელია. ამიტომ სასურველად სცნეს კავშირის პროგრამიდან სოციალური კითხვები სრულიად გამოსტოვონ. ამგვარად დარჩა საერთო პოლიტიკური სადღეისო პროგრამა.

კამათი გაიმართა ტაქტიკაზე,—ეის რა ზომებით მიაჩნია შესაძლოდ პოლიტიკურ მიზნის მიღწევა. აქ ს.-დემოკრატების ჯგუფმა წარმოადგინა ორი რეზოლუცია.

სცნობს რა კრება, რომ ახალის დემოკრატიული წყობილების დამყარება შეუძლია მხოლოდ მშრომელთა ბრძოლას, საჭიროდ ხედავს ხელი შეუწყოს მათ ბრძოლაში.

ეს ფორმულა უარყოფილ იქმნა. მაშინ მეორე ფორმულა წარმოადგინეს:

სცნობს რა კრება საჭიროდ პროგრესიულ პარტიების შეთანხმებას საერთო ბრძოლისათვის, შესაძლოდ მიაჩნია მხოლოდ რამდენისამე პარტიის შეთანხმება.

ეს ფორმულაც უარყვეს. მაშინ სოციალ-დემოკრატებმა განაცხადეს: ჩვენ არ შეგვიძლია კავშირში მონაწილეობა მივიღოთო.

ამას შემდეგ მიღებულ იქმნა რეზოლუცია, რომლითაც კრება „კავშირად“ იქმნა გამოცხადებული. ამოირჩიეს ბიურო 11 კაცისაგან შემდგარი, რომელსაც დაევალა საქმის გაძღოლა და პროგრამის გამოქვეყნება. კავშირში შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ყველა ჟურნალისტმა, რომელიც კი ეთანხმება საერთო მიზანს.

დამსწრე.

რამ ისიც ცხადია, რომ ეხლა, ამჟამად ყოველი რადიკალური ზომა კარგი იქნება და ყოველაფერი კარგი, რასაც კი ხალხს მიანიჭებთ, რადიკალური იქნება. საკმარისია გავიხსენოთ, რომ მთელი რუსეთი მთელ თავის ისტორიაში პატივისცემითა და სიამოვნებით მხოლოდ იმ ხანებს იგონებს, როცა სახელმწიფო წესწყობილებაში რადიკალური ცვლილებანი შეუტანიათ.

საეკლესიო და სამონასტრო ქონების ნაციონალიზაცია სახელმწიფოს მოზრდილ თანხას შეუდგენს. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს თანხა უნდა მოხმარდეს მხოლოდ ხალხის კეთილ-დღეობას, იმის ტანჯვა-წვალების მოსპობასა და ისეთ წესწყობილების დამყარებას, როცა ეს ტანჯვა-წვალება და უბედურება მუდმივ და საყოველთაო მოვლენა აღარ იქნება. ამაზე მაღალი, კეთილშობილური და უკეთესი დანიშნულება ვეროდროს ვერ მიეცემა ეკლესიების იმ აუარებელ თანხას, რომელიც ხალხმა შეადგინა და რომელიც თვითონ ხალხმა უნდა მოიხმაროს შემდეგში.

რუსეთი

სტუდენტებისა და მოსწავლეთა გაფიცვამ საერო განათლების **სამინისტრო დააფაცურა.** „სინ. ოტ."-ს სიტყვით, ამ ახლო ხანში ეს სამინისტრო უნივერსიტეტისთვის ახალ წესდების შედგენას შეუდგება (ს. ო.).

◆ რუსეთის ზარაფხანამ 24 მილიონ მანათის ძველი **ვერცხლი შეაგროვა და გაყიდვას უპირობს.** მყიდველად მხოლოდ ჩინეთი აღმოჩნდა და ისიც მხოლოდ იმ პირობით, თუ რუსეთი 5 და 10 გირვანქიან წმინდა ვერცხლის ნაჭრებს დაამზადებს. მაგრამ, რადგან რუსეთში ვერცხლის დასაწმენდი მოწყობილობა არ არის, ამიტომ გადუდნობელ ვერცხლს ინგლისში გზავნიან (ს. ო.).

◆ ბერნის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი ებრაელი ქალი დ. საექიმოდ იმ ადგილებში აპირობდა წასვლას, სადაც ხოლერაა გაჩენილი. ამისთვის ექიმმა ქალმა პეტერბურგში ხოლერის შესახებ ლექციების მოსმენა მოინდომა და მივიდა კიდევაც ამ ქალაქში, მაგრამ... მეორე დღესვე გრადონაჩალნიკის კანცელარიიდან ბრძანება მოუვიდა: **რადგან თქვენ ებრაელი ხართ** და ებრაელებს კი სატახტო ქალაქში ცხოვრება აკრძალული აქვთ, ამიტომ დაუყოვნებლივ 24 საათის შემდეგ ამ ქალაქიდან მიბრძანდითო (რ. ვ.).

◆ ბელოსტოკში დაბინავებული **კაზაკები ებრაელებს იკლებენ, აწიოკებენ და სცემენ.** ღამ-ღამობით ქუჩა-ქუჩა დადიან და, თუ ებრაელი დაინახეს სადმე, იჭერენ და უმოწყალოდ სცემენ. ებრაელების უქმე დღეს, 9 აპრილს, კაზაკები თორაში შეცვივდნენ და ყველა იქ მყოფ ებრაელს საშინლად სცემს. მეორე დღეს კაზაკები მეორე თორაში შეცვივდნენ და იქ მყოფი ებრაელები აიკლეს. იმავ ღამეს კაზაკები ებრაელების სახლებში კარებს ამტვრევდნენ, უცვივდებოდნენ, ყველაფერს იტაცებდნენ, ძარცვავდნენ და შეშინებულსა, არაფრის მთქმელსა და თავზარდაცემულ გაძარცულ ებრაელებს უწყალოდ სცემდნენ. ქუჩაში ვისაც კი დაიჭერდნენ, ჯერ ჯიბეებს დაუცალიერებდნენ, მერე კარგად სცემდნენ და თავს ანებებდნენ. ერთ ალაგას ებრაელი გარედან თავის სახლის ფანჯარას ხურავდა—კაზაკებმა მოასწრეს და ისე სცემეს, რომ საწყალი გრძნობა-დაკარგული ხელით შეიტანეს სახლში. კაზაკები ქუჩა-ქუჩა დადიან, გამვლელსა და გამომვლელს აჩერებენ, ათვალიერებენ და, თუ ქრისტიანია, უშვებენ, თუ ებრაელია—სძარცვამენ და სცემენ. ამ ქალაქის საავადმყოფო კაზაკებისაგან ნაცემ და დასახიჩრებულ ებრაელებით გაივსო. ექიმების სიტყვით ნაცემნი აუტანელ მდგომარეობაში არიან (რ. ვ.)

◆ 21 მარტს, ღამე, კიევში საიდუმლო პოლიცია გასაჩხრეკად ერთ სახლს მიადგა. კიბეზე პოლიციას ახალგაზდა აღელვებული კაცი დახვდა და სთხოვა, ყვირილს ნუ დაიწყებთ, მომყევით და, რაც გინდათ, ყველაფერი ნახეთო. პოლიცია სახლში შევიდა და ნახა, რომ **ორი ოთახი პროკლამაციებით იყო სავსე.** იქვე სტამბაც იყო გამართული. იმავე ოთახში იპოვეს სტამბა, სოციალ-დემოკრატიისა და სოციალ-რევოლუციონერების ბეჭდები, წიგნები და სხვა. ერთი სიტყვით პოლიციამ კიევის მთელი არა-ლეგალური ლიტერატურა და სტამბა დააპატიმრა. ახალგაზდა კაცი და იმის ცოლი—ნოროვები დაიჭირეს (კ.).

◆ ვოლინის გუბერნიაში **გლეხთა მოძრაობა დაიწყო.** ამ მოძრაობას თითქმის ისეთივე ხასიათი აქვს, როგორიც ქართლსა და კახეთში (ს. ო.).

◆ ეკატერინოსლავში რკინის გზებისა და დეპოს **მუშები (4 ათასამდე) გაიფიცნენ** და განაცხადეს, სანამ დაპატიმრებულ ამხანაგებს არ გამოუშვებთ და ენატანია ხელოსანს გუნისინს არ დაითხოვთ, მუშაობას არ დავიწყებთო. რკინის გზის მთავრობა უარზეა. რკინის გზას, სადგურსა და ფაბრიკა-ქარხნებს ჯარი იცავს. მუშები ძალიან ღელავენ (ს. ო.).

კორესპონდენცია

კავკავი. კავკავის ქალაქის მცხოვრებლების ერთს საუკეთესო გასართობს კვირა-უქმე დღეებში შეადგენს მინდვრად გასვლა და სეირნობა სუფთა ჰაერზე. სხვადასხვა ეროვნებით გაჭედილი ფართო მინდორი მშვენიერს სურათს წარმოადგენს გაზაფხულსა და ზაფხულში. აქ გამოდის თითქმის მთელი ქალაქი, მუშა ხალხი, ქალი, კაცი და ბავშვები. ერთობიან, თამაშობენ და სადამოს ნასიამოვნები ბრუნდებიან სახლებში, რომ მეორე დღეს, უფრო ძალა მოკრებილნი, ხალისიანად შეუდგნენ დღიურს შრომას.

მაგრამ ათს აპრილს გასეირნება მინდორ-ტყისაკენ იაფად არ დაუჯდათ კავკავის მცხოვრებლებს. ერთს ადგილას ყმაწვილებმა ჩვეულებრივი ჭიდაობა გამართეს; მივარდა „გოროდოვოი" მოჭიდავეთ და აუკრძალა ჭიდაობა. ხალხმა ყურადღება არ მიაქცია „გოროდოვოის", რომელმაც ტელეფონით გამოიწვია კაზაკ-რუსები და ბოქაული. ესენიც დაერივნენ უბრალოდ მოსეირნე ხალხს და მათრახებით ზურგზე ზოლი ადგინეს. ხალხმა, როგორც მოსალოდნელი იყო, წინააღმდეგობა გაუწია ჯარის კაცებს ჯოხებით და ქვებით. განრისხებული ცხენოსანი კაზაკ-რუსები თავდავიწყებამდის მივიდნენ,—ცხენების ფეხით სთელავდნენ ყველას განურჩევლად. ერთი შეშინებული ბავშვი ძალაზე გარბოდა, უკან მისდევდა ცხენოსანი კაზაკი რუსი; ბავშვი თხრილში ჩავარდა,—იქნება თავს ვუშველიოო; კაზაკიც თან ჩაჰყვა ცხენით, რომლის ფეხ-ქვეშ მოექცა საცოდავი ბავშვი. მაგრამ ცხენი თავის მხედარზე უფრო ჭკვიანი გამოდგა და ფრთხილად ადგამდა ფეხებს ბავშვს, რომელიც, თუმცაღა დაშავდა, მაგრამ, როგორც იყო, სიკვდილს მაინც გადარჩა.

ამ საოცარმა ამბავმა მთელი ქალაქი აალაპარაკა. ყველანი ამბობდნენ, ნუ თუ უბრალო პოლიციელს ამდენი უფლება აქვს,—მისი ბრძანება ჯარის კაცებმა უთუოდ უნდა აასრულონ მაშინ, როდესაც კაზაკებს არც ერთი თავისი უფროსი თან არ ახლდა. კაზაკების თავგასულობა ხომ ყველგან ცნობილია, მაგრამ ვერც ისე წარმოვიდგენდით, რომ ასეთს თავხედობას გამოიჩენდნენ და „გოროდოვოის" ბრძანებით ასე დააწიოკებდნენ უდანაშაულო ხალხს.

ყველაზე უფრო გასაკვირველი ის არის, რომ ამ შეტაკების მიზეზად აქაურის პოლიციური გაზეთის ერთმა თანამშრომელმა სომხობა აღიარა, მაგრამ, როდესაც იმ გაზეთის რედაქტორს უსაყვედურეს,—ეს ტენდენციოზური შენიშვნა არ უნდა დაგებეჭდაო, რადგანაც ამას შეიძლება ეროვნული სიძულვილი მოჰყვეს შედეგად, რასაც ძალიან უნდა ვერიდებოდეთ განსაკუთრებით ამჟამადო,—მან თავის გამართლების ნაცვლად მეორე დღეს დაბეჭდა ბოქაულის სელიხოვის მოხსენება ხსენებული არეულობის შესახებ, რომლიდანაც სჩანს, რომ ბ-ნი სელიხოვიც შეპყრობილი ყოფილა იმ ავი ზნით, რომელსაც სხვა ერი კბილის მატლად მიაჩნია. ბ-ნი სელიხოვი, რომლის მსგავსნი ჯერ კიდევ ბლომად მოიპოვებიან ჩვენს კეთილშობილ ქვეყანაში, ბრალს ქართველებსა სდებს, თითქო ქართველები ყოფილიყვნენ მარტო მოწინააღმდეგენი პოლიციისა მაშინ, როდესაც ქართველებთან ერთად წინააღმდეგობდნენ რუსებიც, სომხებიც, ურიებიც, ბერძნებიც, ოსებიც და სხ. სელიხოვის მოხსენება ნამდვილი „დანოსია" ქართველებზე, მაშასადამე, ამ შემთხვევაში რომელისამე ერის დასჯელება მხოლოდ იარაღია იმისი, ვინც ცდილობს არა-შეუდრეკობისათვის, არამედ გადაამტეროს სხვადასხვა ერი ერთმანეთში შუღლის ჩამოგდებით, რომ შემდეგ ბიუროკრატიამ თამამად იპარპაშოს და არ გამოეცალოს ის საძარღვლი, რომელზედაც დღეს ვითომდა თამამად ბრძანებლობს. იმედია, ასეთ თავ-გასულობას მალე ბოლო მოეღება და კავკაველებიც ისეთ მდგომარეობაში არ იქნებიან ჩაყენებული, რომ პოლიციის შიშით და მის ნება დაურთველად სუფთა ჰაერის ჩაყლაპვაც უმნელდებოდეთ.

კახაბერი.

—

კახეთი. კახეთის ზოგიერთ სოფლებში თავი იჩინა ერთმა გარემოებამ, რომელსაც ვერ დავტოვებთ აღუნიშნელად. ეს გარემოება არის ცრუ პროპაგანდა. როგორც ნამდვილად გამოირკვა, სოფლებში დადიან ზოგიერთი ვაჟბატონები (მომეტებულად სოფლის მოხელე პირები) და გლეხებს ეუბნებიან, ვითომც მთავრობას მოეწეროს: მთელი მიწები და ადგილ-მამულები გლეხების საკუთრება უნდა იყოსო. ამას წინად მოვიდა ჩემთან ერთი გლეხი და მეკითხება: ყმაწვილო, გუშინ ტელეგრამის გაზეთში წერებულა, რომ ყველა იმ მიწებს და ვაზიან ადგილებს, რაზედაც გლეხებს ბატონ-ყმობის დროს უშრომიათ, მთავრობა სულ გლეხებს აძლევსო და ეს ამბავი მართალია თუ არაო. მე, რასაკვირველია, გამიკვირდა და ვკითხე, ვინ წაგიკითხა ეგ ტელეგრამის გაზეთი მეთქი-იმან არ დაასახელა. სხვა რაღა წაგიკითხა იმ კაცმა?—კიდევ დავეკითხე—და გლეხმა ეს პასუხი მომცა: თურმე სამართალს გადაუწყვეტია, ცხრა წილი ადგილ-მამულისა გლეხებს მიეცეთ და ერთი წილი თავად-აზნაურებსო". მცირე ლაპარაკის შემდეგ ჩვენ მოვშორდით ერთმანეთს. ნათქვამიდანაც მიხვდება მკითხველი, რა სარჩული უდევს ხალხში ამისთანა ცრუ აზრების გავრცელებას.

ასეთი ცრუ პროპაგანდა განსაკუთრებით ს. კურდღელაურში გამომჟღავნდა. ამ სოფელში ხალხი თითქმის ძალაზე იდგა,—ცხრა წილი ადგილ-მამულისა ჩვენია და ერთი თავადისაო. 3 აპრილს მოხდა აქ მთელი სოფლის ყრილობა. დაესწრო 300 კაცი. ცხარე ბაასი ჰქონდა ხალხს ერთმანეთში. უმრავლესობა ამბობდა: „ძმებო, დავუგდოთ ყური სხვადასხვა სოფლის გლეხებს. ხომ გაჭირვება ყველას ერთნაირი გვაქვს, რასაც ისინი თხოულობენ, ჩვენც ის მოვითხოვოთ". უმცირესობა მაინც უარზედ იდგა, „კაცო, მთავრობა გვძლევს და ჩვენი თავის მტრები ხომ არა ვართ, ერთი ბეწო სანადელოზე დავყაბულდეთ". დიდი ხნის ლაპარაკის შემდეგ, როგორც იყო დაარწმუნეს ეს უმცირესობა, რომ იმათი მოლოდინი უსაფუძვლო იყო. შეთანხმდნენ ერთმანეთში და ის მოთხოვნილებები მიიღეს, რომლებიც სხვა სოფლებში წარუდგინეს მემამულეებს ხელის მოსაწერად. გაგზავნეს კაცი თელავში და მემამულეები და მღვდელი მოიწვიეს.

თელავში ხმა იყო გავრცელებული, კურდღელაურელი გლეხები კვირას უნდა დაეცნენ თელავში თავადების სახლებს და გაანადგურონო. ეს ხმები, რასაკვირველია, არ გამართლდა. თელავში ამოვიდა მხოლოდ რამდენიმე კაცი და მიიწვია სოფელში მემამულენი, ვახვახიშვილები: რუსიევები და სხვა. სანამ ესენი ჩავიდოდნენ, ხალხს უკვე შეეფიცნა ერთმანეთისთვის ძმობა და ერთად შეყრილი იდგა წითელი დროშით და ელოდა. ყველა მემამულემ ხალხის განაჩენს ხელი მოაწერა და შემდეგ ხალხი დაიშალა.

7 აპრილს წინანდალში ხმა გავრცელდა, მთავრობისაგან საგანგებოდ დანიშნული პირი მოდის კახეთში ხალხთა მოძრაობის მიზეზების გამოსაკვლევადო. ეს მოლოდინი გამართლდა და ტფილისიდან ჩამოვიდა გენერალ-ლეიტენანტი თავ. ზაქ. ჭავჭავაძე,—ადგილობრივი მემამულე, მხოლოდ, როგორც ამბობენ, თავ. ზაქარია ჩამოვიდა არა როგორც მთავრობისგან გამოგზავნილი ოფიციალური პირი, არამედ როგორც კერძო კაცი,—ადგილობრივი მცხოვრები. ეს კია, რომ მას ერთი როტა ჯარი მოჰყვა. თავადმა მოინდომა გლეხების ნახვა, მათთან მოლაპარაკება და სთხოვა, კვირისთვის შეკრებილიყვნენ, მხოლოდ მთელი სამამასახლისო კი არა (ოთხი სოფელი), არამედ—ცალ-ცალკე თითო სოფელი. სოფლელებმა უარი განაცხადეს ცალ-ცალკე შეკრებაზე და სთხოვეს—ნება ჰქონოდათ ერთად შეკრებილიყო მთელი სამამასახლისო (წინანდალი, ქვემო-ხოდაშენი, ვანთა და ბუშეთი). სოფლელებს ნება მისცეს და კვირას 11 საათზე ს. წინანდალში, ეკკლესიის ეზოში, მოიყარა თავი ოთხი სოფლის ხალხმა, რიცხვით 4000-დე კაცმა. წირვის შემდეგ გამოვიდა და მიესალმა ხალხს თავ. ზაქარია, რომელსაც თან ახლდნენ მაზრის უფროსი, თავად-აზნაურთა წინამძღოლი და მომრიგებელი შუამავალი. ამასთანავე იქვე ახლო გზის პირას იყო გამწკრივებული ცხენოსანთა რაზმი: ხალხი ყველა ამ არა-ჩვეულებრივ სანახაობით გაკვირვებული იდგა და შესცქეროდა საომრად მომზადებულ სალდათებს. ცოტა ხნის შემდეგ თავ. ზაქარიამ შემდეგის სიტყვებით მიჰმართა ხალხს: „შვილებო და ძმებო, მე ყოველ წელიწადს ჩვეულებად მაქვს დიდ მარხვაში წმიდა საიდუმლოს მიღება, და, აი, წელსაც არ ვუღალატე ჩემს ჩვეულებას და მოვედი ჩემს სოფელში. მაგრამ განა არა სჯობდა, რომ არ ჩამოვსულიყავ და არ დამენახნა ის აღელვებული მდგომარეობა, რომელშიაც თქვენ იმყოფებით? მჯერა, დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ დიდი გაჭირვება გაწევთ, რომ თქვენი ცხოვრება აუტანელია:—ეს ახლა ყველასათვის ცხადია. ამაზე ახლა მთელი რუსეთი ლაპარაკობს,—მაგრამ მაინც ვერ გავამართლებ იმ საშუალებებს, რომლებისთვისაც თქვენ მიგიმართნიათ,—ზოგან ვენახები დაგიმიჯნიათ, ზოგს ძალით ართმევთ და კიდევ ვინ იცის, რას არა შვრებით".

შემდეგ სთხოვა გლეხებს ცალკ-ცალკე სოფლებად დამდგარიყვნენ და მიმართა ბუშეთელებს: „აბა რას იტყვით, რასა ხთხოულობთ?"—თუ დროს მოგვცემთ, ხვალ წარმოგიდგენთ წერილობით მოთხოვნილებებს,—უთხრა ერთმა ბუშეთელმა და თანაც დაუმატა: ჩვენ თანხმობას ვუცხადებთ სხვა სოფლელებს—იმათ მოთხოვნილებებს, ხოლო ხვალ კი ჩვენს კერძო გაჭირვებას გაგაცნობთო". მისცეს ეს ვადა. შემდეგ გამოვიდა ერთი ხანში შესული ვანთელი გლეხი და დაიწყო მწარე სიტყვებით აწერა გლეხთა გაჭირვებულ ცხოვრებისა: „ბატონო, ჩვენ ძალიან გაგვიჭირდა ცხოვრება. ამოდენა გადასახადები,—ეს მღვდელსაო, ეს ფოსტის ფულიო, ეს მამასახლისიო, ეს გზირიო და კიდევ ვინ მოსთვლის, რამდენი,—და შემოსავალი კი არ საიდამ არა გვაქვს. მიწა ჩვენ არა გვაქვს და ტყე და გლეხ კაცს კი, თუ მიწა არა აქვს, იმას არაფერიც არა აქვს. ჩვენი საქონელი გადავა რომელსამე მემამულის ადგილში და—ვაი ჩვენი ბრალი,—იმდენს გადაგვახდევინებენ, რომ თითონ საქონელიც არა ღირს იმდენი. ქათამი გადაფრინდება იმათ ეზოში და იმას ხომ სულ ვეღარ დავინახავთ თვალით,—მოურავი მოკლავს და თვითონვე შეექცევა. მერე როგორ გავუფრთხილდეთ, რომ არ შევუშვათ, როდესაც ეზოც კი არა გვაქვს, ერთი საბოსტნე ადგილიც არ მოგვეპოვება,—ეს ადგილები ხომ ისე ჩამოგვიჭრეს ბატონ-ყმობის გადავარდნის დროს, რომ ჩვენი საქონელი ვერ ასცდება მებატონის ადგილს, უეჭველად იქ უნდა გადავიდეს, რადგან მეტი გზა არსაით არის. არა ბატონო! ამისთანა ცხოვრება აღარ შეგვიძლიან, ისევ სჯობს დავიხოცნეთ" „მართალია, არ შეგვიძლიან ასეთი ცხოვრება!" გაისმა ხალხში ხმა. „ამის გარდა ჩვენი გაჭირვება აი, ამ ქაღალდზე სწერია, შენი ჭირიმე,—სთქვა ერთმა ისევ ხანში შესულმა გლეხმა და გადასცა მოთხოვნილებების პირი (რომელიც ჩვენ მკითხველებს უკვე გავაცანით). მოთხოვნილებები საზოგადო ხასიათისაა და გამოიხატება თექვსმეტ მუხლში.

ამ მოთხოვნილებების წაკითხვის შემდეგ, თავ. ზაქარია გულბაათის ძემ მიმართა ხალხს „მე დარწმუნებული ვარ, რომ არც ერთმა თქვენგანმა არ იცის, რას ნიშნავს თვითეული მუხლი ამ მოთხოვნილებებისა. ცხადია, მოვიდა ვიღაცა, შეგაცდინათ და დაგაწერინათ ამისთანა სისულელეები. აი ამისთანა კაცები თქვენი მტრები არიან. აი, მთელ 16 მუხლიდან მარტო ორი შეიძლება იყოს ყურადღების ღირსია თორემ აბა ერთი მითხარით, რა ეშმაკათ გინდათ იარაღი (ერთ მუხლში ნათქვამია—ხალხის შეიარაღება საჭიროების დროს"). ხალხმა უპასუხა: „აი, ბატონო, ამბობენ ლეკები მოდიან, უნდა დაგვეცენო. და აბა ცარიელი ხელებით ხომ არ გავალთ". „ეგ თქვენი საქმე არ არის, ჩვენ თვითონ დავხვდებით ლეკებს", უთხრა თავადმა ხალხს.

შემდეგ დაიწყო ლაპარაკი თავადაზნაურთა წინამძღოლმა თავ. ჩოლოყაშვილმა: „განა მე არ ვიცი, რომ თქვენ დიდი გაჭირვება გადგიათ, მაგრამ მაგ საშუალებით რომელსაც თქვენ მიმართეთ, ვერას გახდებით. მიწა ცოტა გაქვთ, მაგრამ მემამულეებისა რა ბრალია? იძახით „ძმობა, ერთობა, თავისუფლობაო" და თანაც ძალმომრეობასა ხმარობთ განა „ერთობა და ძმობა" იმას გვასწავლის, რომ წაირთვით სხვასაო ან იჩხუბეთო? რასაკვირველია, არა. მოითმინეთ, დაგვაცადეთ. უმაღლესად გამოცხადებულია, რომ გლეხთა მდგომარეობა უნდა გაუმჯობესდესო. ეხლაც მთავრობა თქვენთვისა ზრუნავს. ყოველთვის ასე ხდება, რომ ჯერ რუსები განთავისუფლდებიან ხოლმე და მერე ჩვენი კავკასია. ასე იყო ბატონ-ყმობის გადავარდნა და ეხლაც ესე იქნება. როცა ჩვენ, როგორც ამ 40 წლის წინათ, მოგვივა ხელმწიფისაგან ბრძანება, რომ გლეხებს მიწები და ტყეები მიეცითო, მაშინ მოგცემთ; მანამდისინ კი არა იქნება-რა. ერთის სიტყვით, მოთმინების მეტი არა გიშველით-რა"

შემდეგ მიმართა ხალხს მღვდელმა იმნაიშვილმა: „ხალხო, თუმცა მე გამაშავეთ თქვენ, მაგრამ მე მაინც არ ვიტყვი თქვენზე ცუდს არაფერს. მეც ვხედავ თქვენს გაჭირვებას და აი თითქმის ორი წელიწადია, არაფერი ამიღია თქვენგან". წამოდგა ამ დროს წინ ერთი გლეხი, დაკონკილ-დაგლეჯილ ფარაჯაში გახვეული, ფეხებზედ ცარიელ ტყავის ხაგლეჯები დაეკრა. ერთის სიტყვით, მარტო გარეგანი შეხედულობაც ამტკიცებდა იმის უკიდურეს სისაწყლესა და გაჭირვებას. დაიწყო ლაპარაკი: „ერთი ლიტრა ფქვილი მქონდა, სასწორზედ ნასყიდი. ვამბობდი, რამდენიმე დღით მაინც გავუძლობ მუცელს ჩემს პატარა შვილებს-მეთქი, მაგრამ მოვიდა დიაკვანი და წამართვა კოდის პურში. აუტანელ გაჭირვებაში ჩავვარდი, ათი წლის სიცოცხლე მეტი მომაკლდა იმ დღეებში, რაც ცოლშვილს მშიერს ვხედავდი და ბალღების წივილ-კივილი მესმოდა: მამავ, პური გვშიანო, შემომტიროდნენ. შვილო, წაგვართვეს-მეთქი, ვუპასუხებდი... შვილი მომიკვდა, ჩემი იმედი ხელიდამ გამომეცალა, სწორედ ამისთანა დროს მეჭირდებოდა მე თვითონ დახმარება, მაგრამ სანამ მღვდელს სამი მანეთი არ მივეცი, არ დამიმარხა"...

ყველაზე მეტი შთაბეჭდილება მოახდინა ერთმა გლეხის ნათქვამმა იმის შესახებ, რომ ერთმა ადგილობრივმა მემამულემ თონიდამ ამოუყარა ფიჩხი, ჩემ ტყეში მოგრილიაო, და ამნაირად მოზელილი ცომი გაუფუჭდა. ბოლოს დაიწყო ლაპარაკი მაზრის უფროსმა ხისერმანმა: „მე ორივეს ნალაპარაკევს ვეთანხმები და ჩემის მხრით წინადადებას გაძლევთ—აღადგინოთ სოფლის სასამართლო, მამასახლისი და სხვა მოხელეები". „არ გვინდა, ჩვენ თვითონ მოვუვლით ჩვენს თავს".—გაისმა ხალხში ხმა. მაზრის უფროსი: „ცოტა ხნობით მაინც ეს მამასახლისი იყოს და შემდეგ სხვა ამოირჩიეთო". ხალხი დასთანხმდა სხვა მამასახლისის ამორჩევაზე, მაგრამ შემდეგ ისევ გადაიფიქრა. მაზრის უფროსმა ისევ განაგრძო ლაპარაკი: „უნდა გადიხადოთ ის ზარალი, რომელიც მიაყენეთ კერძო მესაკუთრეთ. თუ ნებით არ გადიხდით, ძალით გადაგახდევინებთ. უნდა მოგვცეთ ის პირები, აგიტატორები, რომლებიც თქვენთან იყვნენ და მთავრობის საწინააღმდეგოდ გამოგიყვანეს". ხალხმა განაცხადა, რომ ჩვენი აგიტატორი მშიერი კუჭია,—სხვა არავინაო. „მე არა მჯერა,—სთქვა მაზრის უფროსმა,—და ვერც დავიჯერებ, რომ ყველა ამ ერთად ერთს დღეს იგრძენით გაჭირვება. უეჭველად ვინმე იყო თქვენში აგიტატორი და ის უნდა დაასახელოთო. თუ ამ ჩემ თხოვნას აასრულებთ, მე ვიშუამდგომლებ, ვისთანაც ჯერ არს, მუხლებზე დაჩოქილი ვთხოვ, რომ თქვენი საჭიროება დააკმაყოფილონ, თუ არა და ეს სალდათები აქედგან არ გავლენო".

ამით, დასრულდა წინანდალის საზოგადოებასთან მოლაპარაკება. თავ. ზაქარია გულბათისძე აპირობს თურმე სხვა სოფლელებთანაც მოლაპარაკებას.

ქაჯი.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

21 აპრილი.

ლონდონი. აქ მოვიდა საფრანგეთის გემი და ამბავი მოიტანა, 16 აპრილს რამდენიმე რუსის ტრანსპორტი ვარელის კონცხთან იყო გაუნათებელიო. იმავე დღეს ინგლისის გემსაც ენახა რუსების კრეისერები და რამდენიმე გერმანელების გემი, რომლებსაც ნახშირი და სურსათი მიჰქონდათ საიგონიდან, სადაც რუსებისთვის დიდძალი ნახშირია დამზადებული. გემები განუწყვეტლივ დადიოდნენ საიგონსა და რუსის ესკადრას შორის, სურსათითა და სასმელებით დატვირთული. საფრანგეთი მოხელეებმა მრავალი მატროსი დააბინავეს იარაღ აყრილ კრეისერ „დიანაზე", რომ არ გაიპაროს,—ამერიკელ და გერმანელ კორესპონდენტებს გემი დაუქირავებიათ, რომ რუსეთისა და იაპონიის ესკადრების ბრძოლას დაესწრონ. გემზე საფრანგეთის ბაირაღია, მაგრამ, ამბობენ, გემი რუსებისაო. ეს გემი სხვადასხვა ადგილს დაცურავს და ტოგოს ესკადრას უნდა მიაგნოს. 18 აპრილს კუნძულ ტერნაბოუტთან, ფორმოზას სრუტეში კონტრ-ნაღმოსანი უნახავთ, რომელიც გაჩქარებით მიდიოდა ჩრდილოეთისკენ, ხოლო არ იციან, ვის ეკუთვნის.

ტოკიო. ამბობენ, რუსის ესკადრა ვლადივოსტოკისკენ წავა და არა პეტროპავლოვსკს, რომელიც შესაფერად არ არის გამაგრებული. —პორტ-არტურსა და ჩემულპოში ჩაღუპული გემები იაპონელებმა ამოიღეს და შეაკეთეს, თუმცა მათს რიცხვს არ იუწყებიან.

პარიჟი. „მატენს" დეპეშით აუწყებენ გუნჯულინიდან, რომ სამხედრო მოქმედება, ამჟამად თითქმის შეწყდარი, ძალიან მალე გაცხოველდება ვიდრე საეჭვო ბრძოლის შედეგი გამოცხადდებოდეს. კორესპონდენტი იუწყება, ჩინელების სიტყვით, იაპონელები გირინზე მიდიანო. —ტაიმსი იუწყება, როჟესტვენსკის ესკადრამ კამრანის ნავთსადგური მიატოვა და კუნძულ კულაპასკენ წავიდა, სადაც ამჟამად დაცურავსო.

ამოი. რუსეთის კონსულმა ფუჯუნში განაცხადა, იაპონელებს აქ რადიო-გეოგრაფიული სადგური აქვთ და დეპეშებსა გზავნიან ფორმოზაზეო. ამის გამო პეკინიდან ბძანება მოვიდა გამოიკვლიეთო, მაგრამ ვერ აღმოაჩინეს. შესაძლოა, იაპონელებს სადგური ჰქონდეთ მახლობელ კუნძულებზე. იაპონელები ამბობენ, რუსის კონსულმა განგებ მოიგონა ეს ჭორი, რომ რუსის ესკადრას უპირატესობა მოუპოვოსო.

ლონდონი. ინგლისელების გემს „ტელემაკუსს" უნახავს ბალტიის ესკადრა ხანკოის ნავთსადგურში, კამრანის ჩრდილოეთად, 50 მილის სიშორეზე. 17 აპრილს იაპონელებს დაუნახავთ, რომ საიგონსა და ესკადრას შორის ორი გემი—„დაგმარა" და „ბურბონი" სურსათს ეზიდებოდნენ. 16 აპრილს საიგონიდან სამი გემი გამოსულა, 17-ს—13, რომლებიც იაკობის კონცხთან შეჩერებულან და ბრძანებას ელოდნენ.

ჩიფუ. ჩინელები ამბობენ, სახეძიდან ყოველ დღე ორი მატარებელი იგზავნება ფენხუნჩენისკენ რკინის მასალით დატვირთული. ჩიფუდან ყოველ დღე სურსათს ეზიდებიან დალნისა და ინკოუს. მოხელეები არ უშლიან. რუსეთის ესკადრის მოლოდინში იაპონელებმა მანჯურიისა და კვანტუნის ნაპირებს ნაღმი შემოარტყეს. ნავთ-სადგურები სანაპირო ზარბაზნებით გაუმაგრებიათ.

შანხაი. ინგლისელმა 70 დიდმა სოვდაგარმა გარეშე საქმეთა მინისტრს ლონდონში სჩივარი გაუგზავნა ჩინეთის მიერ ხელშეკრულობის დარღვევის შესახებ.

ვენა. რეიხსრატი შეუდგა სადამოჟნო პროექტის წაკითხვას პეშტის წინადადებასთან ერთად, რომელიც შეეხება რუსეთიდან და ბალკანეთის სამეფოებიდან საქონლის შემოზიდვის მოწესრიგებას. ბარონ-რეიტგერი უმტკიცებდა, საჭიროა პროექტის განხილვა დაჩქარდეს ავსტრიის ეკონომიური მდგომარეობისა და გარეშე სახელმწიფოებთან სავაჭრო ხელშეკრულობათა აუცილებლად დადების გამო.

პარიჟი. მარკიზ ბრეტელის საუზმეზე ინგლისის მეფე შეხვდა დელკასეს, რომელსაც დიდხანს ესაუბრა.

ოდესა, 20 აპრილი. გაიფიცნენ მეპურეები, რომლებიც ითხოვენ სამუშაო დროის გაწესრიგებას გირვანქა პურის ფასმა აიწია 10 კაპ. აქ მოქმედება დაიწყო მწიგნობართა და მასწავლებელთა საურთიერთო დამხმარებელ კასის ოდესის განყოფილებამ.

სიმფეროპოლი. დღესასწაულმა შედარებით მშვიდობიანად ჩაიარა. მხოლოდ გუშინ ხულიგანებმა ებრაელებს დაუწყეს ცემა, მაგრამ მალე შეჩერებულ იქმნენ პოლიციის მიერ.

ჩიკაგო. გაფიცულ მეეტლეთა შეტაკების დროს პოლიციის ცნობებით, მოკვდა სამი, დაიჭრა ასზე მეტი. ათასობით ტონნა სანოვაგე სადგურებზე ფუჭდება.

კრონშტადი. დღესასწაულის პირველ დღეს ნავთ-სადგურის მიდამოებში დარაჯთა რაზმები გააძლიერეს. ქალაქში დარაჯები დადიან, წესიერება არ დარღვეულა.

დროებითი რედაქტორი ფ. **გოგიჩაიშვილი.**
გამომცემელი თ. **პავლე ი. თუმანიშვილი.**

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 1 აპრილი 1905 წ.

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	94,30
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიჟისაზე 100 ფრანკში	—
ლონდონისაზე ჩეკები	$94{,}72^1/_2$
ბერლინისაზე „	46,30
პარიჟისაზე „	$37{,}72^1/_2$
ბირჟის დისკონტი	$5^1/_2$—$6^3/_4$%
4% სახელმწიფო რენტა	$84^5/_8$ მყიდ.
4%-ანი სახ. სესხი 1902 წ.	—
$4^1/_2$% შინაგანი სესხ. 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. სათ.-მამ. ბანკ.	—
5% პირ. შინ. მომ. ბილ. 1864 წ.	379 წვ. გაყ.
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	$298^1/_2$ „
5% გირ. ფურც. სახ. საადგ.-მამ. ბანკ.	$268^1/_2$ „
5% ობლიგაციები ტფილ. საკრ. საზოგ.	—
$4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. სახ.	—
5% გირავ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკისა	—
$4^1/_2$% გირავნ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურც. ქუთ. სათ.-მამ. ბანკისა	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	—

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტეროსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა ექიმი კ. გძელიშვილი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტატეოსიანცი.

დიდუბის განყოფილება. ექ. შჩერბინა.

თვალის სამკურნალო. კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას-გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისის ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ელემიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა"

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის ქარვასლაში,
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილით 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 113.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. „ 5—8

განცხადებანი

ტფილისის გუბერნატორის ნებართვით, ქალაქის საბჭოს დარბაზში გაიმართება

კრებები ტფილისის ხელოსნებისა

თავიანთ საჭიროებაზე მოსალაპარაკებლად, 22 აპრილს—კალატოზებისა, 23 აპრილს—დურგლებისა და 25 აპრილს—მღებავებისა. კრება დაიწყება დილის 10 საათზე. დარბაზში შესასვლელი ველიამინოვის ქუჩიდან. (2—1).

ახალი წიგნი

რანი ვიყავით გუშინ?

ისტორიული წერილი **იაკობ გოგებაშვილისა**. გამოვიდა და ისყიდება ტფილისში, წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. გაიგზავნა სხვა ქალაქებსა და დაბებშიაც. **ფასი ერთი აბაზი**. მთელ შემოსავალს წიგნისას, რომელიც მთელის გამოცემის გაყიდვის შემდეგ ოც თუმნამდე უნდა ავიდეს, ავტორი გაჰგზავნის გურიაში, იქაურ საჯარო ბიბლიოთეკების საუკეთესო წიგნებით შესავსებლად.
(5—6.—1)

---

*) „სინ ოტეჩესტვა", № 49.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 21 апрѣля 1905 г.
ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა", ფრეილინის ქ., № 5.